


მეცნი ირაკლის

გლეხი

# გ მ თ რ ე ბ ი



ჭ. ჭიჭიათვის.


მეორე გამოცემა

გათოვი

სტამბა ქ. თავართქილაძეებისა

1902

ଲୋକ ପାତ୍ରମାତ୍ରାଦି



ଶରୀରମାତ୍ରାଦି

# ენცი ირაკლის

გლეხი

ვ ა მ რ ი ღ ი

34651

ზ. ჭილიძესა

მეორე გამოცემა

გათმვით

სტამბა შმ. თავართჭილაძებუბისა,

1902



Дозволено цензурою 24 Января, 1902 г. г. Тифлисъ

## პაპა თემურიშვილი

მეფის ირაკლი მეორის დროს, ორდესაც საქართველო დადს განსაცდელში ყოფილა ჩავარდნილი, ხშირად ისეთი გმირები გამოხენილან ჩვენში, ორმლებსაც თავიანთი სიმსიმი, სიქველით და გაუკრიბთ სალხის ბედი და იღბაზი უტრიალებით.

ამ გვარი გმირები თითქმის ყოველს მსარეს წყოლიან საქართველოს: ქართლში, კახეთში, ჯავახეთში და იმერეთში; ამათ უდაწნიათ სამშობლისთვის, დედა-ერისთვის და ქრისტეს სარწმუნოებისთვის.

ჩვენ მოვალენი ჭართ, ყურადღება მივაქციოთ ამ გმირების ამბებს და თუ რამ გავიგონოთ, ჩავწერთ და გავაცნოთ ჩვენს ხალხს. უკაველია, ამ გვარი წერილები ჩვენი ცხოვრების ისტორიას მასალათ გამოდგება.

მეფის თეიმურაზ მეორის დროს საქართველო დად განსაცდელში იყო ჩავარდნილი; ეს ჰატიათისანი და გლეხი სალხის მოუკარე მეფი სან რუსეთისაკენ მიეშურებოდა, სან სპარსეთისკენ და სან თიმილეთშიაც; ორმ რამე სარგებლობა მოუტანა თავისი სალხისთვის და ბოლოს ღრმა მოხუცებაში ტანჯვით რუსეთში გარდაიცვალა. მის შემდეგ გამეოდა მე მისი ირაკლი მეორე (1747 წ.), ორმლის მეფიობა წარმოადგენს დაუკაიშეარს და გმირობით საკსე დროს საქართველოს ისტორიაში. ირაკლის მეფიობაში ბეჭრად გააუმჯობესა საქართველოს მდგრადირება.

მეფე ირაკლიზე და მის თანამედროვეზე ძალანი ბეჭრი ამბებია დაოჩენილი სალხში; ამათი ქება ადრე ხშირად გვისმენია ჩვენი მოსუცებულებისაგან. აი, სხვათა შორის, ერთი ამისთვის ამბები შეატა თემურიშვილზე, ორმედიც სიტყვა-სიტყვით მომუავს (\*).

\*) ნამბიობია ზაალ ბარათაშვილისაგან (გოსტამ გორდალად წოდებული).

ერეკლე მეორის ღროს საშინელი არევ-დარევა ხდებოდა ჩვენს ქვეყანაში. მეფე თეიმურაზი რომ გარდაიცვალა რუსეთში და ეს სპარსელებმა შეიტყეს ძრიელ აღავლავდნენ: ისინი და-რწმუნებულნი იყვნენ, რომ ერეკლე მეფე, მათდა დაუკათხავად გამეფდებოდა და ყეინისაგან ნებართვას აღარ ითხოვდა, რადგან ირაკლი უფრო რუსეთს უახლოვდებოდა და ევროპისაკენ ეჭი-რა თვალი.

სპარსეთის ყეინმა საჩქაროთ გამოგზავნა თვის „ვალი“ და დააყენა საქართველოში, რომ მეფე ერეკლესთვის თვალ-ყური ედევნებია. ამ ღროსვე იწყეს თათრებმა ნავარდობა: სა-ბარათიანოს, საციციანოს და ორბელიანთ მამულებს სულ აო-ხრებდნენ, სწვამდნენ და ჰბუგავდნენ; ხალხს ხოცავდნენ, ატ-ყვევებდნენ და პატრონი კი არავინ იყო.

მთელს საქართველოს მოეფინა ხშა, რომ სომხეთის მხრის სოფლებში თათრები ნავარდობენ და ქრისტიანებს ხოცავენო. ამ ამბის შეტყობაზე მეფე ირაკლი ძრიელ შეწუხებულა, ისე რომ მისი შეწუხების ამბავი მთელ ქართლ-კახეთში მოფენილა.

ამ ხანებში მეფე ერეკლესთან მოვიდა ერთი მოხუცებული კაცი სოფელ თონეთიღამ და მოახსენა შემდევი:

— დიდებულო მეფევ და ბატონო, მე გავბეჭე და გიახელი თქვენ წინაშე, რათა მოგახსენოთ ერთი სათხოვარი, თუ ამის დასტურს დამცემთ.

— ბრძანე, მოხუცებულო კაცო! მიუგო მეფემ.

მოხუცემა დაიწყო:

— ჩვენს სოფელში და სხვა ჩვენი მხრის სოფელშიაც ბევრს ესმის თქვენი მწუხარება და მდევარის უყოლობა. ამა-და-ამ გამოჩენილ და ღონიერ ვაჟკაცმა ისურვა თქვენი სამსახური და თქვენთვის თავის დადება; მას ბევრი სხვა-და-სხვა ფალევანი ბიჭებიც ჰყავს ამხანაგებად; ყველა ამათ ენატრება თქვენი სა-მსახური, თქვენს წინ თავის დადება და ვაჟკაცობა... თუ წყა-

ლობას იქმთ, მეფეო, და ნებას მოგვცემთ, ისინი გიახლებიან  
და ოქვენს სამსახურს გასწევენ.

— კეთილი, კეთილი, ბერო კაცო! წალი და უთხარი, მო-  
ვიღნენ და ყველაფერს მივანიჭებ.

მეფემ მოხუცს ჯილდო მისცა. მოხუცი საჩქაროთ წავიდა  
თონეთში და ყველაფერი აუწყა პაატა თემურიშვილს. პაატა  
თემურიშვილმა შეკრიბა თავის ტოლ-ამხანაგები, ჩაიცვეს სალა-  
შქრო ტანსაცმელი, შემოირტყეს საომარი იარალი, შესხდნენ  
ცხენებზე და წამოვიდნენ ერეკლე მეფესთან. ესენი მალე მო-  
ვიღნენ ტფილისში და წარსდგნენ მეფის წინაშე. მეფემ შორი-  
დამ თვალი მოჰკრა და დიდათ ესიამოვნა და შესძახა:

— გადლეგრძელოთ ღმერთმა, შვილება!

— დღეგრძელ ბრძან დებოდეთ, ბატონო მეფეო! შეყვირეს  
ერთად გმირებმა. მიუახლოვდნენ მეფეს, დაიჩოქეს და მუხლზე  
აკოცეს. მეფემ ყველას ქოჩორი დაუკოცნა, აკურთხა მათი  
დედ-მამა და ყველას საჩუქარი უბოძა.

მეფე ერეკლე, იმის ძენი, ახლო ნათესავნი, საღარლნი,  
სახლთ-უხუცესნი, თავალ-აზნაურები და ქალაქის ხალხი გაკვი-  
რვებულ იყვნენ მასზე, თუ პაატა თემურაშვილმა ამდენი მე-  
ომარი როგორ შეკრიბა ერთად, როგორ მოუყარა თავი და  
აიყოლიაო. თვით პაატა იყო მეტად ტან-მაღალი, მსხვილ მხარ-  
ბეჭიანი და საკვირველი ღონის პატრონი, საყვარელი და მო-  
საწონი ყველა მის მხილველთათვის; თვით მეფე ერეკლესაც  
დიდათ შეუყვარდა პირველ ნახვის უმაღვე.

ამაზე მაშინ აი რა ლექსი გამოუთქვამთ სახალხოთ:

„პაატა თემურიშვილმა მთელი ქართლი შეპყარაო,  
ერეკლეს წიგნი მოსწერა: ნეტა შენთან გვატარაო!  
საბარათიანო შევსძარ დიდიდამ და პატარაო!  
თუ მტერს ნასალი არ დავდოთ, მოშკალ შენი პატარაო!..“

საბარათოს გაზღილ ბიჭებს ქება ვასმინე თქვენიო!  
თქვეს: — მასა ვენაცვალებით, მისთვის დაზრდილი ძენიო!..  
და სხვ.

პაატა თემურაშვილი რომ მოსულა მეფე ერეკლესთან, მას  
შემდეგ არ გასულა დიდი ხანი, მეფე მომზადებულა გასამგზა-  
ვრებლათ სოფელ პატარძეულისაკენ, რადგანაც იმ დროს პა-  
ტარძეული დაქცეული ყოფილა და უნდა ენახა და გაეახლე-  
ბინა. მეფეს თან წაჰყვნენ პაატა და იმის მეომარნი, კარგად  
შეიარაღებულნი.

პატარძეულის მახლობლად იმათ უნახავთ შებმული ურ-  
მები და იქვე რამოდენიმე ლეკი. მეფე და მის მხლებლებს გა-  
უჩქარებიათ სოფლისაკენ: უნახავთ: ლეკები შემორტყმიან ცი-  
ხესა და შიგ დამწყვდეულს ხალხს რაღაცას სთხოვენ თურმე.  
მეფე და პაატა თემურაშვილი დაეცნენ ლეკებს და ისე იფრე-  
ნენ, როგორც შველებს; ზოგს მოჰკლავენ და ზოგს ქალაქი-  
სკენ წამოიყვანენ ტყვეთ. შემდეგ ამისა იმ ციხიდგან ხალხი  
გამოსულა და უაშნიათ მეფე ერეკლესთვის, თუ როგორ ააო-  
ხეს ლეკებმა ივრის ხეობის სოფლები, ან იმათ რა დღე და-  
ადგებოდათ, რომ შემთხვევით მეფე არ მობძანებულიყო იქით.

მეფემ ხალხის ნათქვამი მოისმინა. შემდეგ ამისა მეფის  
პრძანებით დაიწყეს პატარძეულის ციხის შენება

ამ შენების დროს პატარძეულელ მელექსებს გამოუთ-  
ვამთ შემდეგი ლექსი:

პატარძეულის ციხესა ლეკნი გარსა არტყიანო,  
სამი დღე-ღამ გარეშამო რკინით ძირსა უთხრიანო,  
ობლებს გამოიყვანებენ, ცრემლით დაბანენ პირსაო...  
მარტო პაატამ იფრინა სამოცი ლეკი მტრისაო!  
ერეკლემ ბელადი მოკლა; ლეკი მწარეთა სტირსაო.  
სარდალმა და სალთ-ხუცესმა გმირობა ქნეს ჭვეყნისაო.

პაატა თემურიშვილმა სისხლი დაღვარა მტრისაო!

მეფემაც შუბლზე აკოცა, — გმირობა ჰქენ ქვეყნისაო!..

ამ პირველის მიგალითით პაატა თემურიშვილს დაუმტკი-  
ცებია მეფის ირაკლისათვის თავისი მხნეობა და ერთგულობა.  
როდესაც ციხე აუშენებია (1758 წ.) მეფე დაბრუნებულა ქა-  
ლაქში თავის ამაღლით და პაატა თემურიშვილისათვის უპირა-  
ტესი ადგილი მიუნიჭებია. ამავე დროს ტფილისში გავარდნი-  
ლა ხმა; რომ ვაშლოვნელი თამრო თათრებს დაუჭერიათ და  
წაუყვანიათო. თამრო განთქმული ყოფილი მთელს საქართვე-  
ლოში: კაცურს ტანისამოსს იცვამდა თურმე და ხშირად ომში  
მონაწილეობას იღებდა. ამ ქალზე გამოუთქვამთ შემდეგი ლე-  
ქსი, რომელსაც თემურიშვილი ძალიან აუღელვებია:

ვაშლოვანო, შემკობილო, ბოლნისო მეფის სოფელო,  
მანდ რომ გმირი დაგეკარგე, თათრებს შეკრული ვყევარო!  
თუ ბიჭები ხართ, მიშველით, დამიხსნით, თქვენი ტყვე ვარო!  
სამი დღე მშიერი ვარ, ხელ-ფეხ შეკრული ვგდივარო!

თამროს დაჭერის ამბავს მეფემდინაც მიუხშევია. მეფეს  
ორივე ხელები მუხლზე შემოუკრავს და უთქვამს.

— ვაიმე, შვილო თამრო!.. და შეწუხებულა მწარედ. მეფის  
შეწუხება პაატა თემურიშვილს უნახავს და მოუხსენებია?

— ნება მიბოძეთ, ბატონო მეფევ, წავიდე, გამოეიხსნა თუ  
ის ქალი ამ ერთ კვირაში არ გაახლოთ, თავზე ლეჩაქი დამხუ-  
რეთ და ვირზე უკულმა შემსვით შესარცხვენათ ჩემი ვაჟ-კა-  
ცობისა.

ერეკლეს უბრძანებია:

— არა, შვილო, მე შენ მაგას როგორ გაკადრებ! შენ თუ  
უშველი თამროს და დაიხსნი, ეგ შენი მეტი ბიჭობა იქნება!  
სამაგიერო თუ მე ვერ შევძელი, ღმერთი გადაგიხდის.

ამ სიტყვების შემდეგ თემურიშვილი ამხანაგებით მოშზა-

დებულა; მეფის ბრძანება აუღია და, მღვდელ-მთავრის ლოცვა-კურთხევა, წასული ყარაბაღისკენ და კითხვა-კითხვით შეუტ-ყვია ადგილი, სადაც ქალი ყოფილა დატყვევებული. პატა-ერთ მეომარს თათრული ტანთ-საცმელი ჩაუკვამს, შესულია ყარაბაღს, ცხენის ვაჭრობა დაუწყვია და ხალხშიაც მაღე გა-თამამებულა, რადგანაც ეს ქართველი გმირი მეტად მოხერხე-ბული, ახოვანი და ლომ-გული ყოფილა. დანარჩენი გმირები ყარაბაღის მახლობლად ტყეში დაბინავებულან. ყარაბაღში შე-სულ ქართველს ბევრი ოსტატობის შემდეგ თამროვ ვაშლოვ-ნელის კვალისათვის მიუვნია. ერთ სომეხს უთქვამს:

— ესა და ეს ლამაზი ქართველი ქალი ამ-და-ამ თათრის სა-ხლშია დაპატიმრებული; ამბობენ ის ქალი მეტად ლამაზი და მასთან ხელ-ღონიერი არისო. იმას თუ მაღე არა უშველეთ რა, დღეს თუ ხვალ, სპარსეთში წაიყვანენ.

— შენ ნამდვილად იცი, ეგ საჭმე მაგრე იქნება?

— დიახ, სწორეთ ასე იქნება! მოახსენა სომეხმა.

ქართველ ვმირთაგანი მაშინათვე დაბრუნებულა თავის ამხანაგებისკენ და ყოველიფერი უცნობებია. ამათ თათბირი ჰქონიათ და გადაუწყვეტიათ: ამეღამ დავეცეთ იმ სახლსა და ქალი გავათავისუფლოთ. დანიშნულს დროს წასულან, დასცე-მიან იმ სახლს და ყველანი ისე ჩუმათ, ისე ოსტატურათ ამო-უწყვეტიათ, რომ მათგან ერთი კაციც არ დარჩენილა; თათ-რებს ვერაფერი გაუგიათ. გმირებს თამროვ ვაშლოვანი დაუხ-სნიათ, საჩქაროთ წამოსულან ტფილისისკენ, მეორე თუ მესამე დღეს ჩამოსულან ქალაქში, მეფე ერეკლესთან მოსულან და თამროც მოუყვანიათ. მეფეს მეტის-მეტად გაპხარებია, პატა თემურიშვილი და იმის გმირებისთვის შუბლზე უკოცნია, თა-ვისის ხელით უსხამს ღვინო, თავის აზარფეშით ულევინებია და თავისის ხელითვე უბოძებია მათთვის ხორაგი.

როდესაც დავით სარდალი და ეშქიყაბასი მეფის ბრძანებით მოემზადნენ წასავლელათ სპარსეთს ყეინთან, პაატაც მათ თან გაჰყვა და გზაზე დაიკარგა. როდესაც ეშქიყაბასი და დავით სარდალი სპარსეთიდგან დაბრუნდნენ და მოვიდნენ საქართველოში, სთქვეს: პაატა თემურიშვილი გზაში დაგვეკარგა, მგონი იმას არ უნდოდა ჩვენთან წამოსვლა, რასაკვირველია, პაატა აქეთ დაბრუნდებოდა. ეს ამბავი მეფე ერეკლეს ძალიან ეწყინა და იტირა კიდეც.

მეფემ განიძრახა აქა-იქ კაცების გაგზავნა და პაატა თემურიშვილის ძებნა. ამასობაში პაატა თემურიშვილიც გაჩნდა ტფილისში და მალე მეფე ერეკლეს წინაშეც წარსდგა.

— სად იყავი შვილო, სარდალსა და ეშქიყაბას რათ ასცდი გზაში? ჰკითხა მეფემ.

— ბატონო მეფეო! ავათ გავხდი, ერთ სოფელში შეველი და ვწამლობდი ჩემს თავს. კარგად გაეხდი და გიახელით, მიუგო პაატამ.

— ახლა როგორა ხარ შვილო? ჰკითხა მეფემ.

— ღვთისა და თქვენის წყალობით კარგათ გახლავართ. მეფემ წყალობა მისცა, წყალობას გარდა ტანთსაცმელი და ახლი საომარი იარაღიც უპომა, რაღვანაც იარაღი ავათმყოფობის დროს დაეყიდნა. პაატა მალე კარგათ გახდა და ისევ ისე-თი გმირთა გმირი შეიქმნა, როგორიც წინათ ყოფილა.

---

განვლა რაოდენიმე ხანმა და ტფილისში გამოცხადდა: სპარსეთის ყეინი საომრად მოდისო. პაატა თემურიშვილმა თავის ედიგრები შეკრიბა და საომრად მოემზადა. მეფე ერეკლეს ამათი ღილი იმედი ჰქონდა. პაატა თემურიშვილმა მეფეს სთხოვა:

— ბატონო მეფეო, მე გთხოვ ჩემის ჯარით ივანე სარდლის უკან დავსდგე. წინეთ ივანე სარდალი წავიდეს თავის ჯარით და მერე მე მივყვები.

— პაატავ, შენ რა გინდა. რომ მე წინ წავიდე დი მერე შენ წამოხვიდე? რას ნიშნავს ეს?! შენ ლალატი ხომ არ გაქვს სახეში?

— მე, ბატონი, ცუდი და საიდუმლო რა უნდა მქონდეს? მე როგორ გავტედავ, რომ თქვენ ჩემზე უკან დასდგეთ!

— არა, შენ მხდალი ხარ! საქართველოს მოღალატე ხარ! თავი მოიცრას ამას, მეფეო!.. კმარა ამის თავგასულობა!.. რაც ჩაიდინა, იმიც ეყოფა!.. ამ გაჭირების დროს პატიობა არ შეიძლება; ლალატი ცუდის საჭმეა, მიუგო ივანე სარდალმა.

— ლალატზე-კი უკაცრავათ, ვინცა ბძანდება მოღალატე ის მე კარგათ ვიცი და მეფემაც. იქ ლალატის ლაპარაკის დრო არ არის.

— მაშ სადღა უნდა იყოს? შეეკითხა მეფე ერეკლემ.

— კარგი, ბატონი მეფეო. რაკი სარდალი ამას ბძანებს და მე ლალატს მწამებს, ამიტომ მოვახსენებ საჭმე რაში მდგომარეობს.

— ბრძანე! მიუგო მეფემ.

— თუ ივანე სარდალს პირველათ ჩემი მისვლა უნდა, მაშინ მან თავისი ჯარი მე ჩამაბაროს, ჩემი მან ჩაიბაროს და მერე მე ვიახლები წინ და მაგან უკანიდგან უყუროს სეირს.

— მეფეო, ეს წუნკი ამ შავს დღეს სეირს უძახის! ეს მოღალატეა, მოღალატე... თავი, ამის თავი!..

— მოღალატე შენ ხარ, შენ! მიუგო პაატამ.

მეფე ერეკლემ პაატას საჭმის იხსნა სთხოვა. პაატამ მოახსენა:

— სარდლის წინეთ მისვლა მე მიტომ გთხოვეთ, რადგანაც მე მაგის ლალატის ფიქრი მაქვს, რომ ეს მტერს უკან არ ვამოექცეს; თუ ასე არ იქმს, მაშინ ეგ თავისის სუსტის ჯირით მტერს მცირეთ შეასუსტებს და მის შემდგომ, ჯარი როცა ჩემზე და ჩემს მხნე მდევრობაზე მივა, მაშინ ჩვენ ვიცით! მტერს

ისე გავაწყობთ, რომ სსენებაც არ დარჩეს. ი საქმე ასეა, ბა-  
ტონი მეფეო.

—ოჰო! ჩემს დალატს ფიქრობ შენა? კარგი, ვნახოთ, იყოს  
მაგრე, მიუგო ივანე სარდალმა.

—სწორედ მაგრე ვფიქრობ, უთხრა მრისხანებით პაატამ.

—მე არ დავდგები წინ. მე შენი დალატის ფიქრი უფრო  
მაქვს. უთხრა სარდალმა.

საქმე სანანუროთ გათავდება. წავაგებთ, მიუვო პაატამ.

—იყოს მაგრე! შენ რას დარდობ? მიუგო სარდალმა.

მეფემ პაატას დაწყნარება სთხოვა და საქმის შეღგობა. მეფე პაატას მით უფრო ავალებდა ამას, რადგანაც ყველა დი-  
დი თავადიშვილები ამის წინააღმდეგნი იყვნენ; ესენი ამბობ-  
დნენ, სადაც პაატა იქნება ომში მეთაურათ, იქ ჩვენი სარ-  
დლობა ფუჭია, ამაო, არა ჩვენი საკადრისი საქმეო. ერთი  
უბრალო კაცი ჩვენს მოპირდაპირეთ უნდა იღვეს მტრის წინა-  
შე და სარდლობდეს, ამას ჩვენ ვერ მოვითმენთო.

პაატამ იკისრა მტერთან წინეთ შებმა. პირველ დღეს,  
როცა დაიწყეს ომი, პირველ გზისვე პაატა თავის ჯარით შე-  
ება მტერს, თვითონ პაატა ცხენზე იჯდა და ისე ოშობდა;  
ოშობდა ფიცხელ, გმირულათ. ამან და ამის მდევრებმა მტრის  
ძალი გააპეს, თითქმის შემუსრეს, მაგრამ მაინც ვერაფერი გა-  
აწყეს. პაატას გმირობას სარდალი შორიდამ შურით უმზერდა.  
დაღამდა, დაეცა ბინდი და ომი შეჩერდა. გათენდა მეორე დღე  
და ომი ხელმეორედ გაჩაღდა. იმავე დღესაც პაატა დიღის  
გმირობით იბრძოდა. განსაკუიფრებელს სანახავს წარმოადგენდა  
მისი გმირობა, მხნეობა და ომი, მაგრამ მეორე დღესაც დამა-  
რცხდნენ ქართველნი. მესამე დღესაც დაიწყეს ბრძოლა. ამ  
ბრძოლაში გმირულად მოკვდა პაატა თემურიშვილი. იმ ადგი-  
ლის, სადაც პაატა ოშობდა მთლად გაწყდა და მოისპო ქარ-  
თველთა ის ძლიერი მხედრობა, ის შესანიშნავი ქართველთა

მამული შვილების დასი, რომლის იმედით ქვეყანა ცხოვრობდა. ცალ-ფეხ მოჭრილი პა ატა თემური შვილი მოკლა მაჰმადხანის პირველმა მეომარმა სარდალმა. ამის შემდეგ ქართველთა საქშე აირ-დაირია. ქირთველთ შექმნეს კიუინი:

— პაატა მოკლეს, პაატა მოკლეს! დავიღუპეთ, დავიღუპეთ!  
დავეცით, დავეცით... ხმალი, ბიჭებო, ხმალი...

პაატას ხმა გამოისმა შორიდამ:

— გმირებო, გმირთა გმირებო! იბრძოლეთ, ჩემს სისხლს მუ  
შეარჩენთ ამ ულვთოებსა.

პაატას სიკვდილმა დიდად შეაძრწუნა ქართველობა.

თვით პაპა ჩემმა, 17 წლის ნორჩა, მოიტაცა იგი მტრის  
რაზმიდამ და გამოიტანა ქართველთ მხარეში.

დაღამდა... გათენდა ქართველთათვის საუბედურო დილა.  
ამ დღეს მთლად აიშალა ქართველთა სარდლები და ჯარები  
სპარსელებმა იხელთეს დრო. ნახევარ ქართველებზე მეტი მე-  
ფიოთურთ მთიულეთისკენ წაიღნენ, რადგანაც აქ სიკვდილის  
მეტს, ვერაფერს იპოვიდა კაცი, ამ დროს-კი საქართველოს  
მეთაური სჭიროდა.

ბრძოლის ველზე დარჩნენ პაატას მეომარ-მდევრები; მეფეს  
მათთან დარჩენა უნდოდა, მაგრამ მისმა მახლობლებმა დააჯე-  
რეს ერეკლე, რომ იგი თავის შეწირვით სარგებლობას ვერ  
მოუტანდა საქართველოს და თითქმის ძალათ წაიყვანეს იგი.  
პაატას ჯართან სხვა-და-სხვა სარდლების ლაშქრებიც დარჩენენ.  
სპარსელებმა მთლად გასწყვიტეს პაატას ჯარი, ამის შემდგევ  
დაერივნენ სხვებს და მთლად მუსრი გაავლეს. დილის ბრძო-  
ლის შემდეგ სპარსელებმა დასვენებული ჯარი მიუსიეს ქარ-  
თველებს და უწყალოთ ამოულიტეს ჩვენები. აბა რას ვიზამ-  
დით, ჩემო კარგო, როდესაც ერთს ასი გვცემდა? პაატა რომ  
ცოცხალი ყოფილიყო, შეიძლება შეგვეჩერებინა სპარსელები.  
ამ ომში საქართველოს მხედრობა გასწყდა; ტფილისი სპარსე-

ლებმა აიღეს და ნაცარ-ფერფლად აქციეს.

პაატა თემურიშვილის სიკვდილმა დიდი ზარალი მისცა  
ქართველობას: ის რომ ცოცხალი ყოფილიყო, შეიძლება მტე-  
რს ვერ გაემარჯვა, ქართველები არ დამარცხებულიყვნენ და  
თფილისი მტერს ვერ აეღო.

პაატა თემურიშვილმა აკაფა თათრის ჯარია.

მაჰმადხანს თავი მოუკვდეს, დაექცეს სახლის კარია,

შიგ ისხდნენ მისი ცოლები. ცრემლებსა ლვრადნენ მწარია,  
არ ნახოს არსად კეთილი, ღმერთმა უჟლიტოს ჯარია,

ხოჯას პაატამ უჩვენა გმირობა ვაჟკაცისაო,  
ჰკაფა და ჰკაფა თათრები, აყრიდა ქვა და კირსაო,  
პაატა მოკვდა ცხენზედა, სისხლი სდიოდა პირსაო,  
მოკვდა და თან გაიყოლა ცხონება მეუფისაო.

პაატა ცხენზე მოკვდარა... ვიდრე სული არ დაულევია,  
მანამდის ცხენიდამ ფეხი არ ვაღმოუდგამს და თან უყვირია:

— ბიჭებო, ხმალი თათრებს! ხმალი ჭალის ღორებს! ხმალი  
ჩვენს მტრებს!...

1876 წ. \*)

## გელა ნათელაზვილი.

მეთვრამეტე საუკუნის ქართველთ დედებმა თავიანთი ძალა და  
დღნე გმირების აღზრდის მოანდომეს; გმირობა და გაჟგაცილებას  
ესენი ბავშვებს აკვანშევე უმჯერდნენ. ასეთი დედებით საკუე იყო  
საქართველო და ნიმუშურ არაგვის ხეობა და თუშ-თეშა-სეგსურეთი,

\*) პაატა თემურიშვილი შემოკლებით 1878 წ. გაზეთ „დროებაში“  
დაიბეჭდა და 1879 წ. „თფილისის ვესტნიკში“ რუსულათაც დაიბეჭდა  
ფელეტონად.

მაშინ დედი დედები სათულ-მრავალი ადამიანები იყენენ. მეფე ერე-  
გლესაც ამიტომ უუკარდა მთიულეთში ცხოვრება. მეფის სსუბნა ამ  
ერში დაუკარდა მრავალი არას დარჩენალი.

ბერებელ მეფე ერეგლეს ამ მსრის დედა-კაცებისათვის საჩუქ-  
რები მოუცია და უთქვაშის ასე:

— თქენ, ჩემთ დედასთ, დირსი სარო ჰატიისცემისა; თქენ  
დირსეულ შეიძლებს უზრდით საჭართველოს.

მეფის ბრძნება ჭეშმარიტი იყო; მას დარს ჩემნეან სსენე-  
ბელი ადგილები ქართველთა გმირების ბუდეთ გარდაიქნა. ეს მო-  
ლის საჭართველოს ერმაც იციდა და ამ მსრის ხალხს უკეთ ჰატიის  
სცემდა.

ამთა გაუკარცილით გაგვირკებული იყენენ მეფე. მეფის ძენი,  
სარდალი, ხალხი და სამღვდელოება.

---

მეფე ირაკლის გმირთა დასს ღილად ამშვენებდა გამოიჩ-  
ნილი გმირთა გმირი — გელა ნათელაშვილი. იმ ლროს საქარ-  
თველოს ბევრი გმირი ჰყვანდა; თითოეული მათვანი რითიმე  
გაირჩეოდა: ზოგმა უველაზე კარგათ ცხენზედ ჯდომა იციდა,  
ზოგმა ქვეითად მეომრობა, ზოგმა მარტოთ ბრძოლა, ზოგმა  
რაზმში, ზოგმა ხმლის ხმარება, ზოგმა თოფის სროლა და სხვა  
ამ გვარ სამხედრო საქმეში გამოიჩენდა თავსა და უპირატესო-  
ბის სახელს მოიხვეჭავდა. გელა ნათელაშვილი სხვა გამოიჩენილ  
გმირებისაგან იმით განირჩეოდა, რომ სულ მცირე ჯარით გა-  
ილაშქრებდა მტერზედ. როდესაც სხვები ასი კაცით გერ გაბე-  
დავდნენ მტერთან შემბას. გელა ათი კაცით შეემბებოდა, ხში-  
რად გამარჯვებული რჩებოდა და მტერს სასტიკათ ამარცებდა.  
გელამ კარგად იციდა მაშინდელი საქართველოს მტრების  
— ლეკების ენა, ხასიათი და ოსტატობა ომში; გელა ამ ცო-  
ლით სარგებლობდა ზა ლეკებს მუსრს ავლებდა.

გელა ნათელაშვილმა ბევრჯელ და ბევრს აღაგს გამოიჩინა გმირობა და საქართველოში მოსული ლეკები განდევნა. რამდენჯერ მომხდარი ასეთი ამბავი, რამდენჯერ ისახელა გელამ თავი... მას ვინ მოსთვლის?! გელას გმირობა ხალხს ძრიელს აკვირვებდა.

მეფესაც ესმოდა ეს ამბები, მაგრამ არავის ერისთავები ჰყარავდნენ და იქარწყლებდნენ გელას გმირულ მოქმედებას და არავის ხეობაზე მოსულ მტრების განდევნას სულ თითონ იჩემებდნენ.

ერთ დროს მეფე დუშეთში წაპანდა და ბაზალეთელი გლეხის ნახვა ისურვა.

გელას აცნობეს, მეფე გიხმობსო.

გელას შეეშინდა, ვაი თუ რამე დავაშავეო! მაგრამ მაინც წვიდა; მას თან გაჰყვა დედა: სხვების დალატით ჩემ შვილს მეფე არ გაუწყრესო. დედა და შვილი მალე მივიღნენ სასახლეში და მეფე ერეკლეს გამოეცხადნენ. ერეკლემ შეხედა მათ და შეატყო, რომ დედა-შვილი უნდა ყოფილიყვნენ და ჰყითხა დედას:

— თქვენ დედა-შვილი ხომ არა ხართ?

— დიახ, გახლავართ! ჩენ ერთად გიახელით: მარტო ვერ გამოუშვი ჩემი შვილი, შენი კირიმე. მტრის შიში მაჭვს ვაი თუ მეფეს რამე ტყუილი ასმინეს და მეფე ჩემს შვილს იხმობს დასასჯელად, ამისი მეშინოდა და წამოვყევი ჩემ შვილს, — მიუგო დედამ.

— დიახ, დასასჯელად გიხმეთ! მიუგო მეფემ, მიუახლოვდა დედა-კაცს, ძუძუებზე აკოცა და ასე უთხრა:

„ჩენო დედაო, ვენაცალე შენს ძუძუებს, რომ ასეთი გაუკაცი გავიზრდია. შენი შვილის გვარი გმირები ლმერთმა სხვა დედებსაც მისცეს“. მეფემ დედა-კაცს საჩუქრები მისცა: საკაბე, კრიელოსანი, ფული და ძვირფასი. აკვანი შვილი-შვი-

ლების ოღაზრდელად.

ახლა მეფე გელას მოუბრუნდა და გაიცნა იგი. გელამ  
მუხლზე აკოცა, მეფემ შუბლზე. ირაკლიმ, ამასაც საჩუქარი  
უბოძა: ხმალი, ხანჯალი, თოთი და სხვა იარაღი მისთვის და  
მის მდევრებისათვის.

შეფერი ჰქითხა:

— შენი გმირობის ამბავი ყველაფერი ვიცი. ახლა მითხარი  
თუ, რა გნებავს ჩემგან და რას ითხოვ, რომ მე გიბოძო?

— არასფერს... თქვენს დღეგრძელობას და სიცოცხლეს..  
მიუგო გელამ.

— მაინც, გენდომება რამე? უბძანა შეფერი.

გელა ნათელაშვილი დიდი პირუტყვის, მეტადრე ღორის,  
პატრონი ყოფილა. არავის ხეობაზე ასეთი შეძლებული და  
თანვე განთქმული არავინ იყო. მეფე ერეკლეს გელამ არავის  
ხეობაზე საძოვარი ადგილები და ჭალები სთხოვა. მეფემ მაში-  
ნათვე უბოძა.

მეფის ასეთმა მოწყალებამ გელა ნათელაშვილზე მეტათ  
კარგი გავლენა იქონია. გელას სახელი უფრო განითქვა; თავა-  
ლიშვილები ვეღარ მტრობდნენ, რადგანაც ამათ კარგათ შეი-  
ტყეს, რომ ერეკლე გელას სწყალობდა. ყველა გაოცებით  
ისმენდა მეფეს და გელას გაცნობას: ერეკლე მეფემ გელას  
დედას ძუძუებზე აკოცა, აკვანი, ფული და საძოვარი ადგი-  
ლები აჩუქაო.

მეფის მფარველობის ქვეშე მყოფ გელას საქმე ერთობ  
კარგათ წაუვიდა. იმ ხანების მშეიღობიანობა გელას მეტათ ხე-  
ლს უწყობდა; იგი მალე უფრო მეტის შეძლების პატრონი  
გახდა, ნამეტურ პირუტყვი გაიმრავლა, უფრო ღორები.

• ერთს დღეს გელა ეახლა მეფე ერეკლეს თფილისში და  
მოახსენა:

— ბატონო მეფეო, მე ამდენი ათასი ღორის პატრონი გა-

ხლავარ და ნება მიბოძეთ, ნიშნათ თქვენის მოწყალებისა და ჩემი ერთგულობისა, ყოველ წელს მორიგ ჯარისათვის სამასი ტახი მოგაროვათ და ორასი ფუთი ჯაგარი!

მეფემ ნება დართო.

ამის შემდეგ გელას მოჰქონდა მორიგ ჯარისათვის ყოველ წელს სამასი ლორი და ორასი ფუთი ჯაგარი.

მალე გელა მეფეს დაუახლოვდა. ირაკლიმ ამას ნება მისცა, სამეფო სასახლეში, ჯარის-კაცთა დაუკითხავად, შეს-ვლა. მეფისგან ეს დიდი მოწყალება იყო. გელამ ეს კარგათ იგრძნო და ამიტომ უფრო ერთგულ მეომრიათ გარდაიქცა. საქმე ისე მოეწყო, რომ ხშირად, როცა ლეკები შემოიპარებოდნენ თუშ-ფშავ-ხევსურეთში, ან არაგვის ხეობაზე, მაშინ ამათთვინ ერეკლე თითონ არ გაირჯებოდა, გელას შეატყობინებდა და გელას მიუსევდა მტერს და მერე იმან იცოდა, როგორ განფანტავდა ლეკებს. რამდენჯერ და რამდენ ალაგას ამას მტერი უკაფავს, რიცხვი არ არის!

გელა ნათელაშვილი იყო მოსული ვაჟკაცი, ხელ-ლონიერი და მტრის მოპირდაპირე; საქართველოზე მოსულს მტერს გმირულათ იერიშით მიესეოდა და თავზე მეხივით დაეცემოდა.

თიონეთის მთების ახლო მცხოვრებელი ლეკები ერთხელ მცხეთას დაეცნენ; აქ უცებ გამოჩნდნენ გელა და მისი მღევრები და მტრებს დაეცნენ, ბევრი დახოცეს ბევრი განდევნეს. ლეკებთაგანი ზოგი არაგვისკენ გაიქცა, ზოგი მცხვრისკენ, ზოგნი გელამ დაიჭირა. მეორე დღეს გელა თავისი მდევრებით მეფესთან წამოეიდა, დაჭრილი ლეკებიც თან წამოიყვანა, მეფის წინ წარსდგა და მოახსენა:

— ბატონო! მეფეთაში ხვლიკის ჯოგები დავაფრთხე, ზოგი დაიხოცნენ, ზოგი ჩვენ დავხოცეთ და ზოგიც აქ მოგვარეთ.

მეფე შაშვინვე მიხვდა რაში იყო საქმე და შესძახა გელას

— ვენაცვალე შენს ვაუკაცობა! შენ გელა კი არა, მგელი ხარ, მგელი ლეკებისა! ვიცი რა ხვლიკებიც არიან ეგენი!

მეფემ დიდი მაღლობა უთხრა, ბატონიშვილის ბალში გელას და მის მდევრებს საღილი გაუმართა და დიდის პატავის ცემით გაისტუმრა შინ.

აი ამ ამბის შემდეგ ჩვენში ლეკებს „ხვლიკის ჯოგს“ უძახოდნენ, ეს სახელი ზედ გამოჭრილია მათხეთ.

ერთხელ მეფე ერეკლესგან გელას შიკრიკი მოუვიდა და ბრძანება მოკლანა: — ამ მოკლე დროში მანდ ლეკები მოვლენ, ფიქრობენ ახალგორის და დუშეთის ოხრებას. აბა შენ იცი, როგორ პასუხს გასცემ მტერს! — ამპის შეტყობის უმაღვე გელამ მდევრები შეკრიბა და მტრის დასახველრათ მოემზადა. განვლო რამდენიმე ხანმა და ლეკები გამოჩნდნენ. გელა თავის მდევრებით დაესხა მათ და დახოც-გაფანტა; ვინც დარჩა მიწაზე დაეცა და პატიობას თხოულობდა: — ჩვენი ბრალი არ არის, ჩვენი ბელადია დამნაშავე — სტაროდნენ ლეკები. გელამ აპატია, ტყვევები არ დახოცა და ერეკლე მეფეს წარუდგინა. მეფე გაოცდა და სთქვა:

— შეილო გიორგი! საქართველოს ყველა მხარეს შენისთანა თითო ერთგული გმირი რომ მყვანდეს, მაშინ მე ფიქრი აღარ მექნება, ჩვენ ველარავინ შეგვაშინებს და მოგვერევა.

— ოლონდაც, ოლონდაც, მეფეო! დვოთით გამრავლდებიან გმირები, ოლონდ შენ გვყვანდე ცოცხალი! მიუგო გელამ.

— ამინ, ამინ, შეილო! ღმერთმა გაამრავლოს შენისთანა ქართველები! და მათ შენსავით მოაყვანინოს გაბატრული მტრები.

გავიდა რამდენიმე ხანი და ლეკები კვალად გამოჩნდნენ სოფ. ნატახტევთან, არაგვის ხეობაზე. აქედამ ესენი უნდა შესეოდნენ ამ მხრის სოფლებს და უნდა აეოხრებინათ. მერე წილკანს უნდა დასცემოდნენ. ლეკების განზრახვა გელამ შეიტყო, სწრაფად შეკრიბა თავისი მდევრები, ჩაიცვეს საომარი

ტანსაცმელი და საჩქაროდ გასწიეს მტრის დასახვედრათ არაგვის პირას — ჭალაში, მტრის დასახვედრ ალაგს გმირები ჩამოსხდნენ, ცეცხლი დაანთეს და საომრიად მზადება დაიწყეს. ამ დროს ჭალაში გამოიარა ერთმა დიდმა ირემმა. გელამ ირემს თვალი მოჰკრა, თოფი ესროლა და მოკლა; ირემი იქვე ხეზედ ჩამოჰკიდეს. დალამდა, გელას მდევრებს თითოეულათ ჩაეძინათ, მხოლოდ გელას არ ეძინა; იმან მოიხსნა იარაღი, გალესა დანა და ირემს დაუწყო გატყავება; ამასობაში შუალამებ მოაწია. ცეცხლი საკმარისად ანათებდა, მთვარიანი ღამე იყო, უცებ მტერი მოაწყდა გელას და ერთბაშად გარეშამო შამოერტყა. გელა საჩქაროთ წამოვარდა ფეხზედ და შეჰყვირა მტერს:

— ვინა ხართ?! აბა მობედეთ ახლოს, სულ ამ ღლორის ქონით მოგთხუპნით!

ლეკებს ირემი ღორათ ეჩვენათ და ახლოს აღარ მოვიდნენ.

გელას ყვირილზე მდევრებს გაელვიძათ; ესენი უცებ შეიმოსენ თოფ-იარაღში, გელამაც იარაღი შემოირტყა და გმირები შეებნენ ლეკებს. ომი მეტის მეტად ფიცხელი იყო; ქართველებმა სძლიერ ლეკებს, მრავალი ტყვე წაართვეს და გამარჯვებულნი გელა და ომის მდევრები დატყვევებული ლეკებით თბილისისკენ წამოვიდნენ. დიღომის მინდორთან ესენი შეხვდნენ ლეკების დიდ გუნდს. ეს ლეკება დიღომს ჩუმათ დასცემიან, სოფელი აუოხრებიათ და სოფლის აქეთ რამოდენიმე მწყემსი ბიჭები დაუჭერიათ და თან მიჰყავდათ; ლეკები მტკვარში უნდა გასულიყვნენ ავჭალისაკენ, სოფლების ცარცვა დაეწყოთ და ნაშოვრით დაღისტანისაკენ წასულიყვნენ.

ქართველ-ბიჭებმა გელა იცნეს და შეჰყვირეს:

— გელა, გვიშველეთ! ლეკებმა აგვაოხრეს! ტყვეთ მივყავართ! გელა და მისი მდევრები რაკი გაიგონებენ ამ ხმას, მაშინვე თოფის სროლას ასტერენ; რამდენიმე გმირნი ხმალ ამოღებულნი გაექანებიან იქითკენ, სადაც ქართველი ტყვეები

არიან დაკავებულნი. დაიხსნიან მათ. ტყვეები ღონის და გვარ დაეხმარებიან გმირებს და ქართველები ლეკებს სასტიკათ დასცემენ. ლეკები არ ელოდენ ბრძოლას, ესენი აირევ დაირევიან და გაქცევას სცდილობენ, მაგრამ ამაოდ: გელა, მდევრები და წელანდელი ტყვეები ბევრს ლეკებს მოჰკლავენ და ბევრს დატყვევებენ.

ამ გვარად გელამ ერთ გალაშქრებაში ორჯელ სხვა და სხვა ადგილს, სხვა და სხვა ლეკების გუნდი დაამარცხა, ორივე გამარჯვებაში დაჭრილი ტყვეები ერთად შეკრიბა და მეფეს წარუდგრნა. მეფეს დიდი მადლობა უთქვაშს გელასათვის.

ამის შემდეგ გელა გაკზავნილი იყო კავთისხევის გზით მანგლისისკენ, ტყეში, საღაც ლეკები იმალებოდნენ და აქიდამ გამოსუ სოფლებს სცარცვავდნენ და აოხრებდნენ. გელას თან გაჰყვნენ სხვა გმირებიც. მანგლისთან რომ მოვიდნენ, ლეკებს ლაუწყეს ძებნა და იმათ კვალს მალე შიაგნეს, ბოლოს ერთ ხეეში ლეკები იპოვნეს და გაუმართეს ბრძოლა. ყველაზე მარდათ გელა ომობდა თურმე ცხენზე მჯდომა, ხმალ ამოღებული გელა პირდაპირ ლეკების გუნდთან მივიღა და ლეკების მოთავეს შეებრძოლა. გელას მიჰყვნენ სხვა მდევარ-გმირებიც და ისე შეასუსტეს მტრის ძალი, რომ ლეკების ტანით ხევი გაიმსო თურმე. დაიჭრნენ მრავალნი ქართველნიც და მათ შორის გმირი გელაც, მაგრამ იმისი ჭრილობა საშიში არ იყო.

ამ ომზე გელას ერთს მდევართაგანს, რომელსაც ლექსების და შაირების შეთხზა სცოდნია, გელა ნათელაშვილზე გამოუთქვაშს შემდეგი ლექსი:

ახლა ქება ჩამოვთვალოთ ქართველთა გმირებისაო: არაგეზე მტრები აშალეს, არაგვის ფშნების პირსაო, მღვთის მეტშა არავინ იცის, საით უხამენ პირსაო. გელამან გზასა გახედა: „მტერი თავს დაგვესხმისაო!“

ეს ბაზალელი გელაი ნაჭერი არის კლდისაო,  
მოჯამაგირებს არიგებს, როგორც რომ მამა შვილსაო;  
მოჯამაგირემ შეჰფიცა, ფიცი მაღალი ღვთისაო:  
გუშინ წინ ღორში ვიყავი, ბელადი ვნახე მტრისაო;

დავუჩოქე და ვესროლე, მოვარტყი გულის პირსაო!  
— „შენ, ბიჭი, მარჯვედ ვერ გიკრავს! ვაი შენ ვიორგისაო!  
მაგ თოფის ამბავი ვიცი, თუ ვისმეს საღმე მოხვდება,  
ფიცხლავე დასცემს ძირსაო“.

გიორგიმ მოსვენება ჰქნა, ტკბილათ აპირობს ძილსაო,  
შუალამე რომ შეიქნა, ელვა შეიქნა ცისაო;  
ლეკები თავზე დაეცნენ, კერძეულ გიორგისაო;  
გიორგიმ წამოიწია და ლეკი ჩაიგდო ძირსაო;  
ურჯულოს ხანჯალი დასცა, შაშვივით აღებს პირსაო;  
პატარა ბიჭი გიორგი ცხარე ცრემლითა სტირსაო.  
ბერუა ხანჯალსა ლესავს ილმასივითა ხდისაო;  
— ბიჭი, რატომ არ მიშველი? თქვენი ვარ, განა სხვისაო?  
გიორგი მანგლისს წავიდა, როგორც ბორბალი წყლისაო;  
ისე აკაფა ლეკები, ვითა ტოტები ხისაო.  
ბერუამ სიტყვა გამოთქვა, შაირი გამოდისაო.  
მიადი ხელი-ხელს გადვხვივოთ, პირობა შევკრათ ღვთისაო,  
დიღმურ ბიჭებს გადავხედოთ, დავკივლოთ მაღლა ხმითაო;  
ორი ურჯულო ბელადი ხევისა პირსა ზისაო,  
თოფი მთავრული უჭირავთ, კონდახი იფნის ხისაო.  
გიორგიმ ხელი მოისო, ბეჭებში სისხლი სდისაო.  
მანგლისს აქებენ ტაძარსა, ნაკეთი ქვითკირისაო,  
შიგ ბევრი ლეკი აწყვია, ნახოცი გიორგისაო,  
შიშით კაცი ვერ მაუვა, კბილებში მატლი სდისაო.  
ასე ამბობდა გიორგი, ლაშქარში მეფისთვისაო!

პოლოსა მოკლეს საწყალი, ლაშქარში მეფისთვისაომ  
ლექსათ გამოვთქვი მე ქება ქართველთა გმირებისაო.

გელას მდევრების გარდა თავის მოჯამაგირე მეღორეებიც  
დიდათ გაწვრთნილი ჰყავდა; ასწავლიდა მათ თოფის სროლას,  
ხმლისა და ხანჯლის ხმარებას და მტრის დამარცხებას და ესე-  
ნიც მტრებს მუსრს ავლებდნენ თურმე. გელას მოჯამაგირე-  
ების ქება და გმირობა მთელს ქართლის ხალხს სკოდნია.  
გელას ხელში მეღორე გმირათ გარდაიქცეოდა.

როცა გელა ჭრილობისგან მორჩა, ისევ თოფსა და ხმალს  
ხელი მოჰკიდა, ისევ ქვეყნის და მეფის სამსახური დაიწყო.

ამ დროს გელა ნათელაშვილს, მეფე ერეკლესგან გამო-  
გზავნილი კაცი მოუვიდა და ამბავი მოუტანა:

— საქართველო დიდ განსაცდელში ვარდება! ძრიელი  
მტერი მოღის ჩვენს ასაოხრებლად და, აბა, შენ ზენის მდევ-  
რებით მალე უნდა გამოცხადდე ჩვენს წინაო. გელაშ საჩქაროთ  
ასარულა მეფის ბრძანება, წარსდგა ერეკლეს წინ და მოახსენა:

— ბატონი მეფეო, აპა მოვედით! ჩვენ მზათა ვართ! მეფემ  
მიიღო; მათ ფიცი მისცეს ერთგულობაზე.

გელა და მისი მდევრები 1795 წლის პრიმოლაში გაწყდ-  
ნენ გმირულათ გაატარა თავის ცხოვრება და გმირულათ  
მოკვდა გელა ნათელაშვილი.

1876 წ.

## გიორგი მახათაძე.

ერთხელ საქართველოში ხმა გავარდა, სპარსეთის ყეინი  
საქართველოს ასაოხრებლად მოღისო. მეფე ერეკლემ შეიტყო  
ეს თუ არა, მაშინათვე თბილისის სალაყბოზე ხალხი შეკრიბა  
და მტრის ამბავი გამოუცხადა:

— აბა, შეილებო, თქვენ იცით და თქვენმა ვაუკაცობამ, როგორ მოიქცევით მტრის წინ და როგორ ასახელებთ მამა-პაპათა სახელს!

ხალხმა შესძინა:

— ოღონდ შენ ბძანდებოდე ცოცხალი და ჩვენი ფიქრი ნუ გაქვს, მეფეო! ჩვენ შენს წინაშე დავიხოცებით საქართველოსი ვის.

— ოღონდაც, ოღონდაც! ბრძანა მეფე ერეკლემ; მაგრამ მაინც ეჭვი ჰქონდა, შინათ გამცემნი არვინ გამომიჩნდნენ და არ მიღალატონო, სამშობლო არ დამეღუბოს.

ამ ღროს ცალკე გადგა მეფე ერეკლეს შინა ყმა გიორგი და მეფეს ხმა მაღლა შესძინა:

— ბატონო და მამაო მეფეო, ნება მიბოძეთ თქვენს ერთგულს ყმას. ჩემის ნებით რამოდენიმე ქალაქის ბიჭები შევკრიბო, მათგან ჯარის გუნდი შევადგინო და მერე სალაშეროთ გიახლებით იქით, საითაც თქვენ დაგვინიშნავთ.

— კეთილი! ძრიელ კარგი და ბეღნიერი, შვილო გიორგი! თუ რამ სიკეთეს იზამ და მოახერხებ რასმეს, ეგ შენგან გამოჩნდება წინაშე მამულისა.

გიორგი მაშინათვე წასულა და რადგანაც მთელი ქალაქის ხალხი დამეგობრებული ჰყოლია, მალე ბევრი მეომარი ბიჭები შეუგროვებია და ამ ბიჭებით მეფის სასახლისაკენ წასულა. მეფისთვის მოუხსენებიათ, ეს და ეს კაცი გეახლათ მეომარ მდევრებითაო. მეფეს ძალაან გახარებია; გამოსულა მოაჯირზე და გიორგი რომ ჯარის წინ მდგომი დაუნახავს, აღტაცებით შეუძახია:

— ვენაცვალე ჩემს ერთგულს სახლიშვილს გიორგის! ყველა გაჭირებულ საქმეში მახათივით დაესობა ხოლმე!

ამბობენ, მეფისგან მახათის ხსენება ხალხს დაუხსომებია და გიორგისთვის „მახათი“, „მახათაძე“ დაურქმევია.

განკლო რამოდენიმე ხანმა და მართლაც სპარსეთის ყეინი დიდის ჯარით საქართველოში მოვიდა. გიორგი მახათაძე თავის მდევრებით საომრად დაემზადა. ამბობენ, გიორგის ჯარში ქართველი ქალებიც ერივნენო: ვაშლოვნელი თამრო, წყნეთელი თინა და წავკისელი მაია, სამივე გლეხის ქალები. ერეკლეს მეფემ ბრძოლის დრო დაუნიშნა:

— იცი, შვილო გიორგი, შენ შენის მდევრებით იმ დროს დაიწყობ ბრძოლას, როცა ბაირახტარი შენს ჯარისკენ მობრუნდება და ბაირალს მომართავს; მანამდის-კი ისე იყავით. თუ ვინიცობაა, ღმერთმა არ გვიწყალობა და მე მომალეს, მაშინ-კი როგორც თქვენმა ჭკუამ გასჭრას ისე ეკვეთენით.

— კეთილი, დიდებულო ბატონო მეფევ!

ომი დაიწყეს. გიორგიმ ყველაფერი მეფის ბრძანებისამებრ ალასრულა; როცა ბაირახტარი მისკენ მიბრუნდა, გიორგი თავისი ჯარით ეკვეთა სპარსელებს; იბრძოლეს გმირულათ და მტერი გააჭიეს. ყეინს იმედი წაუხდა, შორიდამ უმზერდა ომს და უკანასკნელად მოსულს ქართველთა ჯარის გმირულ ბრძოლაზე მეტათ ჰკვირობდა. იგი განრისხდა და ბრძანა

— მთელ სპარსეთის ჯარს გავსწყვეტ და ჩვენ დამცემს-კი მაინც დავიჭირ და სპარსეთში ცოცხალს წავიყვან.

სხვა ხანებმა შესძახეს:

— კეშმარიტად. მაგვთი გმირი ჩვენს ხელთ უნდა იყოს! გაოცებული ვართ მის გმირობისაგან; მოულადნელათ დაგვეცა. ჩვენ აქ დგომას ველარ შევძლებთ. საქმე იმით დავაბოლავოთ, რომ ეს ხელდახელ ცოცხალი დავიჭიროთ და სპარსეთში წავიდეთ. ერეკლეს წინ მალე გაგვიძნელდება ბრძოლა.

ყეინმა გიორგის დაჭერის ბძანება მისცა. სპარსთა ჯარის-კაცები შეიკრიბნენ, მათ ყველა ხანები თავიანთ მოსამსახურებით დაემატნენ; ესენი ერთად გიორგის თავს დაეცნენ, დაიჭირეს და დამალეს სადღაც; სპარსელები მალე აიყარნენ და

შუშისკენ წავიღნენ. ერეკლემ შეიტყო ეს აშავი, აქეთ იქით  
კაცები აფრინა: გიორგის ძებნა დაუწყეს, მაგრამ ვერსაღ ნახეს;  
ერთ ალაგის იპოვნეს ერთი კაცის ტანი, რომელსაც გიორგის  
ტანსაცმელი ემოსა წამხდარს სახეზე მისივე ქუდი ეხურა. ქა-  
რთველთ რა ნახეს ასეთი კაცის ტანი, იფიქრეს: სპარსელებს  
გიორგი მოუკლავთ და ახლა რაღას ერზამთ? მკვდარი მიასვე-  
ნეს ბოლნისისკენ და იქ დაასაფლავეს.

სპარსელები საქართველოდამ გადაიკარგნენ, გიორგიც  
თან წაიყვანეს, სპარსული ტანსაცმელი ჩააცვეს და მალე მის-  
ცეს სპარსელ გმირებსა და მეომრებს შორის უპირატესი ად-  
გილი, რაღანაც მან დიდი გმირობა გამოიჩინა მალე ტარუ-  
ლაც უბოძეს.

გიორგიმ ყეინის წალილი მალე იგრძნო და ამიტომ ამანაც  
ოსტატურათ დაიწყო მოქმედება. სადაც-კი გაგზავნიდა საომ-  
რათ ყეინი გიორგის; სუყველგან გაიმარჯვეა: ხოროსნისკენ,  
ავღანისკენ, ერთის სიტყვით საითაც-კი ეს გმირი წავიდა საო-  
მრათ, ყველგან სპარსელებმა გაიმარჯვეს. ყეინი ფიქრობდა და  
ოცნებობდა, გიორგი მახათაძის დახმარებით საქართველოზედაც  
გავიმარჯვებთო, ერეკლე ხანს ჩემს მუხლ ქვეშ დავაჩოქებო,  
მაგრამ თან ეჭვიც ეპარებთდა გულში: ქართველს ვერ ვენდო-  
ბი! გიორგი ქართველია, მე იმედი არა მაქვს, საქართველო  
დამიმორჩილოს, როგორც სპარსეთის სხვა და სხვა ურჩი ხალ-  
ხი დამიმორჩილა. ეს მოხერხდება მხოლოდ მაშინ, როცა გი-  
ორგის ისლამს მივაღებინებ, როცა გიორგი ქრისტეს მაგიერ  
ადისა და მაჰმადს იწამებს. ძალლისაგან ბატყანი არ გამოვა.  
ყეინი ასეთ ფიქრებში იყო გართული; ამ დროს მასთან შემო-  
ვიდნენ სპარსეთის უმაღლესი ხანები და მოახსენეს შემდეგი:

— დიდებულო მზე და მთვარევ, ჩვენის გმირების თვალიათ  
გურჯი გიორგი ითვლება. ეგ გმირთა გმირი აფსუსია რომ  
გურჯი იყოს და არა მაჰმადიანი. ჩვენ ვითხოვთ, გიორგი გა-

ათათროთ, რადგანაც მის შემდეგ უფრო ერთგული იქნება, უფრო მეტს სამსახურს გაგვიწევს. თქვენ სთხოვეთ მას, თქვენ თხოვნას შეასრულებს.

— კეთილი! ბრძანა ყეინმა. მეც მაგას ვფიქრობდი. მეტი გზა არ არის, უნდა ესთხოვოთ.

ყეინმა დაიბარა გიორგი და გამოუცხადა:

— გიორგი, შენ ჩემი თხოვნა უნდა შეასრულო: შენ უნდა ჩვენი რჯული მიიღო. შენისონა კაცი აფსუსია ქართველი იყოს.

— ბატონო! მე ქართველი ვარ, ლორის ხორცი მიჭამია, ახლაც ვჭამ და, აბა, ჩემი თათრობა როგორ იქნება, რას ივარებს! მიუგო გიორგიმ.

— არა უშავს რა! შენ ოღონდ გათათრდი და ყველაფერი გეპატივება, ლორის ხორცი კი შემდეგ ში აღარ სჭამო. მიუგო ყეინმა.

გიორგი გათათრდა; მეტი გზა აღარ იყო.

ყეინს ერთხელ წვეულობა ჰქონდა; იქ ყოფილან სპარსეთის ყრელა გმირები და გიორგიც. ყეინს უთქვამს გიორგისთვის:

— გიორგი, შენ ეხლა თათარი ხარ და საქართველოზე რას იტყვი? ჩვენის გმირებით საქართველოზე რომ წავიდე, არეკლეს ვერ მოვერევით და საქართველოს ვერ ავიღებთ?

— დიდებულო მეფეო, ჯერ გათათრებაზე ვილაპარაკოთ და მერე საქართველოს აღებაზე.

— ძალიან კარგი, ვილაპარაკოთ! ბრძანა ყეინმა გიორგიმ დაიწყო:

— მე ისევ ის ქართველი ვარ, რაც აქობამდინ ვიყავი, და თქვენ თუმცა გამათათრეთ და თავიც მომპარსეთ, მაგრამ მე ისევ ქართველის სული მიდგია გულში, ისევ ერეკლეს და ჩემი სამშობლოს სიყვარული მაქვს და ქართველის სისხლი მიღულს

სხეულში. თუ გნებავთ ნამდვილი თათარი გავხდე, მაშინ ეს სულიც ამომხდეს, სისხლიც, ამის მაგიერ თათრის ჩამიდგით და აი მაშინ შეიძლება, თათარი ვიქმნე; თუ არა და ასე გა-თათრება როგორ იქმნება?

— ეს როგორ მოვახერხოთ მერე სული და ხორცი რო-გორ ამოგართვათ? ეს რომ მოხდეს, მაშინ ხომ მოკვდები, ამას ჩევნ ვერ ვიზამთ.

— ერთ თხოვნას თუ შემისრულებთ, მაშინ მე გასწავლით მაგას და მეც უსათუოდ გავთათრდები, ნამდვილი მუსულმანი გავხდები.

— აბა ბრძანე!

— მე გთხოვთ საქართველოში დაბრუნების ნება მომცეთ; იქ მე ბევრი მამულები მაქვს, რომელსაც დავყიდი, ფულს ავიღებ, ჩემის ცოლშვილით აქ მოვალ და მალე აღვასრულებ თქვენს წადილს. ჩემი სული—ცოლი და სისხლი—შვილა სა-ქართველოში მყავს და მე აქ შენთან როგორ ვიყო ერთგუ-ლად როგორ გავხდე მუსულმანათ, თქვენზე როგორ მქონდეს სული და გული? მომეცით ნება, საქართველოში წავიდე და მალე უკან მოვიდე; ჩემი დაუბრუნებლობა შეუძლებელია, რადგანაც თქვენ გვარს წყალობას და დიდებას მე სად ვპო-ვებ? აი მაშინ შევასრულებ თქვენს წადილს და თხოვნას, თქვენვე ბრძანეთ, საქართველოში და ერეკლეს წინაშე ამის ფასს რას ვპოვებ?

ყეინი დაფიქრდა და სხვათა რჩევით, გიორგის საქართვე-ლოში წასვლის ნება მისცა. რამდენიმე დღის შემდეგ გიორგი წამოვიდა საქართველოში, ყეინმა მას საჩუქრებიც უბოძა თან ფალავნები გამოაყოლა და წერილები სხვა და სხვა ხანებთან; სხვათა შორის წერილი შუშის ხანთან, განჯის და სხვების.

გიორგის, სპარსეთში ყოფნის დროს, სპარსული წერა-კითხვა ესწავლა. ამან იფიქრა, ვიდრე ამ წერილებს აქა იქ

გადავსცემ, მანამდის გავხსნი და წავიკითხავ, გავიგებ თუ რას  
სწერს ყეინი. გიორგიმ დახსნა წერილები და წაიკითხა. შუშის  
ხანს სწერდა ყეინი: „ეს კაცი შენოან რომ მოვა, მაშინ შენ  
ყოველნაირი ღონისძიება იხმარე და ცნობები ჩამოართვი.  
შენი კაცები გაგზავნე საქართველოში, ერეკლე მეფეს შეუ-  
თვალე, ამ კაცის მამულები დაყიდოს, მის ფული და ამის  
ცოლშვილი შენთან გამოგზავნოს; თუ ეს არ ქმნა, მაშინ მე  
წავალ ჩემის ჯარით და საქართველოს ავიკლებ. თუ ამ კაცშა  
არ ქმნას ეს, მაშინ შეკარ და ისე გამომიგზავნე. ჩემი ბრძა-  
ნება თუ არ შეისრულე, მაშინ შენი საქმე ერთობ გლახათ  
იქნება“\*. გიორგიმ მადლი გადაუხადა ღმერთს, რომ სპარსული  
ანბანი ვისწავლეო, თუმცა ძნელათ, წვალებით, მაგრამ მაინც  
ვისწავლეო; კარგია, კაცშა ბევრ ენებზე იცოდეს წერა-კითხვა  
და ლაპარაკიო. გელაშ წერილები შეინახა, არც ერთ ხანის-  
თვის არ გარდაუცია და საქართველოში მალე ჩამოვიდა. სა-  
ქართველოდამ ყეინის კაცები გაისტუმრა და ასე შესთვალა:

— დიდებულო ყეინო, შენ გინდოდა მე გაგეთათრებინე,  
ჩემით გესარგებლა და მე საქართველოს მოღალატეთ გამხდა-  
რიყავ. მე ერთგულიდ და კარგათ გემსახურე, მაგრამ ეს თქვენ  
არ შეიწყნარეთ და შუშის ხანს ჩემი შეკვრის წერილი მოს-  
წერეთ, ამის შემდეგ მე სპარსეთში ვეღარ მნახავთ, მე ჩემს  
ქვეყანაში უნდა დავრჩე; აქაურები მე მკვდრეთით ალდგენილად  
მთვლიან, ახლა როგორც გნებავს, ისე მოიქეცი! მე ქართვე-  
ლების მტრად ვერ შევიქნები, ერეკლეს ვერ ვუღალატებ.

ყეინის კაცები წავიდნენ და ყველა ეს ამბები. დაწერი-  
ლი ჩაუტანეს შაპი შაპს. შაპი დიდათ გაწყრა, მაგრამ რაღას  
იშამდა?

გიორგი კვალად დაუახლოვდა მეფე ერეკლეს და სპარ-  
სეთის შესახებ ბევრი რამ ცნობები აუწყა. ერეკლემ მაშინა-  
თვე სარდლები, გმირები და ჯარი შეჰყარა და თაობირი ჰქმნა,

თუ მტერს როგორ დაუხვდეთო. თათბირის შემდეგ საქმის შესრულებას შეუდგნენ. გიორგიმ, მეფე ერეკლეს ბრძანებით, დიდი ძალი მდევრები შეკრიბა; მდევრებით გაემართა კუკის ზემოთ ერთ გორაკისაკენ, რადგანაც მტერს ამ მხრით ელოდნენ, ამ გორაკთან დაბინავდა გიორგი თავისის მდევრებით; ამიტომ ამ გორაკისთვის მაშვინ გიორგის მდევრებს „მახათა“ დაურქმევიათ და ამ მთას დღევანდლამდე „მახათას“ უწოდებენ. რამოდენიმე დღის შემდეგ მტერი მოვიდა; მათ პირველად გიორგი თავის მდევრებით შეება. ამ დროს ქალაქის ოთხივე კუთხივ ბატონიშვილები მდგარან ჯარით, მაგრამ ამათ მტერთან ომი არ შეხვედრიათ.

გიორგის თავის მდევრებით გაუმარჯვნია და მთლად განუდევნია ლეკთა ჯარი. გიორგის ასეთ გმირობამ მეფე ერეკლე და იმის სარდლები დიდათ გააკვირვა. ერეკლე მეფეს უთქვამს:

— ვენაცვალე ჩემს ერთგულს გიორგას! ჩემ შვილებში არ გავცვლი იმის ხმალსაო.

ზემოხსენებულის გარდა, გიორგის მახათაძის გვარის დარქმევაზე ასეც ამბობენ: გიორგის „მახათაძე“ იმიტომ დაარქვეს, რომ გიორგის მამა მახათის მკეთებელი იყო.

ასეც უწყილენენ: როცა გიორგი თავის მდევრებით კუკის გორისკენ მიღიოდა, მაშინ იმან ერეკლე მეფეს ფიცი მისცა, მე კუკის გორაზე ფეხ უცვლელად ვიღვები, მტრის ლოდინში ვიქნები და ქალაქში ფეხს არ მოვდგამო. გიორგის პირობა აღუსრულებია, მართლაც ფეხ უცვლელად მდგარა იქ, მაგრამ ერთ მდევართაგანს წალა გახევია, მახათი მოსდომებია დასაკერავად და ამიტომ ერთი მდევარი თბილისში ჩამოსულა მახათის და კანაფის წასაღებად. ვითომც ამისთვის დარქმევია ქალაქლებისაგან გიორგის „მახათაძე“.

ამ იმის შემდგომაც გიორგი მახათაძე შენეთ და ერთ-

გულად ემსახურებოდა მეფეს, და ერეკლეს ერთგულ და სა-  
ყვარელ პირათ ითვლებოდა, ხშირად მთიულეთში მოგზაუ-  
რობდა და მხედრობაში სწროვნიდა მთიულებს.

ალა-მაჰმად ხანის ომში გიორგი გმირულათ იბრძოდა,  
მაგრამ რას უზამდა აუარებელს მტერს? ამ ომში გიორგი მა-  
ხათაძემ სამასს არაგველებთან ერთად თავი დასდვა სამშობ-  
ლოსთვის. ჩვენს ხალხს იმის მოკვლაზე შემდეგი ლექსი გამო-  
უთქვამს:

შენ დედა ჩემო თინაო,  
ვეღარ მოგიველ შინაო!  
შესანდობელი დალიე  
ლამაზი გიორგისაო!  
გიორგი მეფის გაზდილი  
ვეღარ წამოვა შინაო:  
თათრებს შეაკვდა ომშია\*),  
ბეჭებში სისხლი სდისაო!  
ვაჲ შენსა გიორგისაო! .  
ვარსკვლავი მოსწყდა ცისაო.  
სამოთხეში წაიყვანენ  
მამულის შვილსა გმირსაო,  
ოქროს საჯდომსა დაუდგმენ,  
ერთხელ არ დასმენ ძირსაო,  
გარშამო ანგელოზები  
ნანას ეტყვიან ტკბილსაო,  
კრწანსის მთისა ძირსაო\*\*).

\* ) გარიანტი: მტერსა შეაკყდა მეფისთვის.

\*\*) ვარიანტი: მახათის მთისა ძირსაო.

ია ვარდებით მოჰუენენ  
მის საფლავისა პირსაო  
მახათის მთაზე დამარხვენ  
ერთხელ არ დადგმენ ძირსაო.

ამბობენ, გიორგი მახათაძე კარგი მომღერალიც იყოვთ,  
იცოდა სხვა და სხვა საკრავების დაკვრა, ნამეტურ სალამურისა.  
ზემოხსენებულ ომების გარდა გიორგი მახათაძეს ბევრს  
სხვა ომებშიაც მიუღია მონაწილობა, ნამეტურ ასპინძის და  
ჯავათ ხანის ომში.

1867 წ.

---

X შევი თრშაბათი, ანუ „ყეინობა“

საქართველოს მტრებს მეფე ერეკლე სასტიკად სდევნიდა.  
ერთხელ მეფემ ხალხი შეჰყარა სალაყბოზე და გამოუცხადა  
შემდეგი:

— გიცხადებთ ყველას მამაშვილურათ: თუ ვისმეს ქვეყნის  
ორგულობა შევამჩნიე და გაუგე, სასტიკათ დავსჯი. პატივე-  
ბას არავინ ელოდეს.

ოღონდაც, ოღონდაც! მაგრე იქმნეს, მეფეო! ნურავის  
აპატივებთ. შეჰყვირა ხალხმა და თანვე ისმოდა: — მოღალატეს  
ძირში უნდა ამოვაძროთ ენა, საკირეში ჩავაგდოთ! — ჯერ სა-  
ქვეყნოთ შევარცხვინოთ, ვირზე შევსვათ, თავზე ლაფი დავ-  
სხათ, პირზე მური, ქალაქის ქუჩებზე ვატაროთ და მერე  
დავსაჯოთ. — ვინც ორგულობას და ღალატს დაუწყებს თავის  
ქვეყანას, ყველა იმ პირებს წინდაწინვე საქოლავი უნდა აუ-  
გოთ, საქოლავი... და ათასს ამ გვარ სასჯელს უქადდა ხალხი

მოლალატეებს. მეფე ერეკლეს ყველამ ერთგულობის ფიცი მისცა. მეფემ დაიმედდა და სასახლეში წაბრძანდა. თბილისში ყველგან დიდი მხიარულობა გაიმართა: ქუჩები ჩირალდნებით გააჩაღეს, ეკალესიებში ზარებს რეკავდნენ, მეფემ წყალობა გასცა. ყველას უხაროდა, მეფე ერეკლემ მთელ ერს ფიცი ჩამოართვა, არავინ ულალატებს საქართველოსაო, დღეის შემდეგ ჩვენში ღალატი მოსპობდნლი იქნებაო; ქვეყანა გაიხარებს, ხალხი წელში გამაგრდება, უმტერო ქვეყანას არა უშავსრაო. შინაური მტერი გარეულზე უფრო ძრიელია, რადგანაც შინაური მტერი ჩუმია, საიდუმლოა, გარეული-კი აშკარა პირდაპარიაო.

გავიდა რამდენიმე ხანი. მეფე ერეკლესთან ორი ძრიელი კაცები მოვიდნენ საჩივლელად, მეფემ საქმე გაურჩია და მოჩივართ მორიგება სთხოვა. ერთმა ამათგანმა არ მოიწონა მეფის გადაწყვეტილობა და კანონზე გადადგომა დასწამა. ეს პირი გადაემტერა, გულში ძვირი ჩაინერგა, მალე თანამოაზრეებიც იშლენა და ერეკლე მეფის წინააღმდეგ ძრიელი გუნდი შეადგინა; ამ მოლალატეთა რიცხვში ტფილისის ვაჭარ-მოქალაქენი ერივნენ. ეს ენა სარსალა მოლალატენი ჩვენს მეფეს საიდუმლოდ მტრობდნენ და ღალატობდნენ. ერეკლე მეფეს ამათ მიუსიეს მტრები, რომელთაც წინ მიუძღვდნენ, ამხნევებდნენ და ეუბნებოდნენ, ერეკლეს არაფერი ძალა აქვსო.

რამდენიმე ხნის შემდეგ საქართველოში შიკრიკი მოვიდა და მეფეს მოახსენა: საქართველოში ყეინი მობრძანდება, თქვენთან ომი სურს, მოემზადეთო.

— ძრიელ კარგი, მობრძანდეს! მიუგო მეფემ.

შიკრიკი წავიდა, ერეკლეს პასუხი ყეინს მოახსენეს; ყეინი განრისხდა და სთქვა:

— ვერ უყურებთ ერეკლეს?! მუქარით მითვლის მობრძანდესო! დაიცადოს, მე უჩვენებ იმას სეირს: მივბძანდები სა

ქართველოში. — მართლაც უერთ საქართველოზე წამოვიდა და შეება მეფე ერეკლეს. პირველად ქართველებმა სძლიეს, ბოლოს-კი სპარსელებმა გაიმარჯვეს. მტერს დიდად ეხმარებოდნენ შინათ გამცემი; ესენი ყეინს აძლევდნენ ყოველ გვარ ცნობას და გეგვას. საქართველოს დიდი უბედურება მოაწვა. სპარსელები ხალხს მეტად აწუხებდნენ; სახლებში უცვივდებოდნენ და სახლის ავეჯეულობას და პირუტყვს სტაცებდნენ, ქალებს და კაცებს კარგ ტანისამოს ხდიდნენ; ქალაქის ღუქან-ბაზარი ააოხჩეს, ვაჭრებს ღუქნებიდგან ართმევდნენ რაც-კი მოეწონებოდათ; გზაში და ხიდებზე კაცები დააყენეს, გამვლელ-გამომვლელს ჯიბეებს უჩხრეკავდნენ და თუ რამეს უპოვნილნენ, ართმევდნენ; ეკალესიებს ბილწავდნენ და აქა იქ კიდეც დაიწყეს ტაძრების ქცევა, ავლაბრის ხიდის გვერდით ღვთისმშობლის ეკკლესია წაართვეს ქართველებს და ჯამედ გადაკეთეს. ჩვენებს საჭმე მეტად გაუჭირდათ. ერთს დღეს ქართველებმა კრება და თათბირი ჰქმნეს, თუ სპარსელებს რა მოუხერხოთო.

ერთმა გამოჩენილმა გმირმა სთქვა:

— ვიდრე ჩვენ შინათ გამცემლებს არ მოგსპობთ, მანამდის მტერზე ვერ გავიმარჯვებთ! ამ აზრს ყველა დაემოწმა. მეფემ ბრძანა:

— იყრას მაგრე! ჯერ შინა მტრები მოგსპოთ და მერე გარეშე მტერს შევებათ.

— სწორედ ასე უნდა იქნეს, ბატონო მეფევ! სთქვა კრებამ, ამ ყრილობის შემდეგ საქმის შესრულებას შეუდგნენ. ჯერ შინათ გამცემ მტრებს ქინქლაოზა კაცები მიუგზავნეს და ერთ სახლში ვახშმათ დაპეატიუეს; გამცემთ გაეხარდათ, სიამოვნებით წაეიდნენ, იქნება იქ სხვა რამე ახალი ამბავი შევიტყოთ და სპარსელებს ვაცნობოთო. ვახშმის დროს გამცემელნი ქართველებმა დახოცეს; შეა ღამე რომ შეიქმნა, ჩვენები დაეცნენ სპარსელების სადგომებს. მოულოდნელ სპარსელებს თავზარი

დაეცათ, შიშით აღარ იცოდნენ რა ექმნათ. ქართველებმა ვა-  
თენებამდინ გაფლიტეს სპარსელები; ვინც გადარჩა ისინიც და-  
იჭირეს და შეარცხვინეს: ზოგს ღორის ხორცი იჭამეს, ზოგი  
ვირზე შესვეს, ზოგს ლაფი დაასხეს, ზოგს ვინ იცის რა უკვეს  
და თანაც ეუბნებოდნენ: — ესეც ცოტა არის ოქვენთვის! ოქვე  
უსინიდისოებო, რას გვემართლებოდით?

მალე ქართველებმა თბილისი გაასუფთავეს სპარსელები-  
საგან. ხალხმა მოშენება იწყო, ვაჭრობა და ხელობა ისევ  
აყვავდა, დაქცეულნი ისევ აშენდნენ და ხალხმა ძლივს თავის-  
უფლად ამოისუნთქა. გასულა რამოდენიმე ხანი და მოახლო-  
ვებულა ის დღე, როდესაც სპარსელნი ქართველებს დაეცნენ,  
ესე იგი დიდმარხვის პირველი ორაშბათი: ქალაქის ბიჭებს,  
გამოსაჯავრებლად, ამ დღეს ერთი კაცი ყეინივით შეუმოსავთ  
და ცხენზე შეუსვამთ; მოურთავს რამოდენიმე როგორც ყეინის  
მხლებელნი, დაუწყათ ქუჩა ქუჩა სიარული ხალხის წინაშე  
მასხარობა და ისევივე საქმების ჩადენა, რასაც სპარსნი სჩა-  
დიოდნენ. ხალხი ამათ მასხარათ იდებდა, დასკინოდა, ლანძღა-  
ვდა, ნიშნა: იმისა ვითომი სპარსეთის ყეინზე იყრიდნენ ჯავრს.

ეს სეირი მეფე ერეკლემაც ნახა და ბევრი იცინა ოურმე:

— ეგრე, ეგრე, ყოველთვის უსჯულოების მტერი იყავით!  
ყოველ წელიწადს, მაგ დღეს ყეინი შესვით ვირზე და ქალა-  
ქი ატარეთ, სპარსთა გამოსაჯავრებლად.

ამ დროდამ დაწესებული საქართველოში ყეინობა, რო-  
მელიც ჩვენს დრომდისაც იქმნა მოღწეული, ხოლო ცვლი-  
ლებით.

ამბობენ: მაშინ ქართველებს შინათ გამუემნი რომ არ  
შეიოლოდათ, სპარსელები ცერაფერს გააწყობდნენ. მეფე ერეკ-  
ლეს მტრებმა უწინამძღვრეს სპარსელებს და ურჩიეს, რომ  
თფილიას სპარსელები დიდმარხვის პირველ ორშაბათს დასცე-  
მოდნენ.

— კვირას ქრისტიანების აღების ლამეა,— აუწყეს შინათ გამცემლებმა სპარსელებს: — იმ ლამეს ხალხი იქეიფებს, გათენებამდინ არ დაიძინებენ; გათენებისას-კი ლვინით ნასკამნი ლრმა ძილი: მიეცემიან. ჩვენ ამით დრო მოვიგოთ თავზე დავეცეთ და გავიმარჯვოთ, ისინი ვერაფერს გააწყობენ.

ასეთი ოჩევა მისცეს მტრებს შინათ გამცემლებმა და ამით მოიგეს კიდეც, მაგრამ ეს მოვება მათ დიდხანს არ შერჩენიათ — ქართველებმა სამაგიერო გადაუხადეს.

იმ დღეს, როცა შინაურის მტრის მეოხებრთ შაჰი შემოვიდა საქართველოში და ქართველებს მოულოდნელად თავზე დაეცა, იმ დღეს ხალხმა „შავი ორშაბათი“ უწოდა.

ამაზე გამოუთქვამთ შემდეგი ლექსი\*).

ყეინს გაუწყრეს თფილის ში სიონის მღვთისმშობელია,  
ისე გაუწყდეს თათოები, ველარსად ვნახო მვლელია.

ყეინი გაგრუებული დარბოდეს მთა და ველია;

გის მკედრის მყრალ ლეშა სწირწნილნენ ტურა, მელა და მკელია.

### აღა-მამად ხანის მოსელა საქართველოში.

მეოქმედებული საუკუნის შემდეგ, ისეთი შევი დღე საქართველოს არა დროს არ დასდგრომაა, როგორც მეოქრამეტე საუკუნის დამდეგს (1795.წელი), ხოჯ აღა-მამად ხანისაგან დაადგა. საინტერესოა შევიტყოთ — თუ გისი დახმარებით დამართა მტერმა ას კაება და საშინელი დღე ჩინებ სამშობლო ქვეყნას. ამ შევი დღების შესახებ ხალხი იხსნავს სხვა და სხვა ზეპირ-აშბებს და ამ აშის ცოდნა დღეგანდღამდე დარჩე-

\* ) ეს ლექსი სრულად ვერავისგან ვერ შევიტავე, უნდა იცოდეს-კი ვინობემ.

ნიღა ჩექეში. ათ რა გადმომცეს ჩექეშა მოსუცებულმა და თვით ირაკლი შეფერის მოღალატე პირის ფ. აზრუმანაშვილის შეიაღმა, რომლის მამას ირაკლის და საქართველოს მტრებთან მონაწილეობა ჰქონდა.

როდესაც ხოჯა აღა-მაჭაძე ხანი გაბატონდა სპარსეთში, მაშინ ეს ავი კაცი თავის ძლიერითა და გამხეცებულის მხედ-რობით საქართველოსკენ გამოემგზავრა. აღა-მაჭაძე ხანი დასა-კურისებული იყო და ამიტომ უფრო გამხეცებულ-გაავკაცებული.

როგორც მოგეხსენებათ, გზაში სპარსეთის ჯარმა დიდი გაჭივრება გამოიარა, რაღაც აღა-მაჭაძე ხანს ჯარისათვის საგძალი აო წამოუღია და უთქვამს:

— აქედამ იქით წასალები ჩვენ არაფერი გვაქვს, იქიდამ-კი ბევრი!

ჯარი სპარსეთიდამ მსუბუქად წამოსულა; ის ქონიათ ფი-ქრი, საცა დაგვილამუება, იქვე ხალხის ცარცვას დავიწყებთო. სპარსეთის ჯარი რომ შემოვიდა ძველ სომხეთის სამხრეთ მხა-რეში, საგძალი შემოაკლდათ და დაიწყეს სოფლებში სიარული და ძარცვა. იქით მხრის სოფლებში კიდევ იკვებავდნენ თავსა, მაგრამ როცა ერევანს გამოსცილდნენ საქმე გაუფუჭდათ, რაღაც ერევნის აქეთ უფრო ქრისტიანები იყვნენ და ესენი აქა-იქ ტყეებში დამალულნი და დახიზნული იყვნენ. სოფლები-კი ხალხს ცარიელი დაეტოვებინა. ასე ამ წვალებით, შიმშილით და ვაჟებით ბოროტმა აღა-მაჭაძმა ერთს განჯის მახლობელ სახანომდე მოაღწია; ამ სახანოს „ჯავან შორი“ ერქვა რომელ-საც შფლობელობდა ერთი ვიღაც იბრაიმ ხანი. ეს იბრაიმ ხანი თათარი იყო, მაგრამ ერეკლე მეფეს მორჩილობდა. იბრაიმი თავის ხალხით ერთს ციხეში იყო დახიზნული და გამაგრებული; იმას აღა-მაჭაძე ხანმა მოციქულები გაუგზავნა და ასე შეუთვალია:

— ჯარისთვის სადგომი ადგილი მომეცით და მე თქვენ არაფერს გიზამთ.

იბრაიმ ხანმა უპასუხა:

შე ერეკლეს ვერ უულალატებ! როგორც გენებოს ისე მოი-  
ქები. გნებავს შემები და შეგვმბები.

მაჰმად ხანი გაბრაჩდა, მარა ვერა გააწყო რა.

რამოდენიმე დღის შემდეგ აღა-მაჰმად ხანის ჯარი დიდ  
გაჭივრებაში შთავარდა, საომარი მასალა შემოაკლდა და იმასლა  
ცდილობდა, როგორმე თავი ერჩინა, და რამე საშვალება მო-  
ენახა, ან უკან დაბრუნებულ იყვნენ და ან საქართველოსკენ  
გამოელაშქრათ; მაგრამ ერთობ დასუსტებული, დამშეულნი და  
ძალ-ლონეს მოკლებულნი იყვნენ, გალაშქრება აღარ შეეძლოთ.  
ამბობენ ამის გამო აღა-მაჰმად ხანმა საქართველოზე გალაშ-  
ქრება და თფილისის აღება გულიდამ ამოილო და უკან დაბ-  
რუნება გადასწყვიტათ.

იმ დროს ყარაბაღში სცხოვრობდა თფილისიდგან გაქცე-  
ული ოთხი კაცი: პირველი ვიღაც ბებუთოვი, მეორე ბრძა  
მირუაშვილი, მესამე არზუმანაშვილი ფანოზა და მეოთხე ვი-  
ღაც იოვანე. ამათ ტფილისში ბევრი სისაძგლე ჩაუდენიათ.  
მეფე ერეკლეს ბრძანებით, ესენი ნარიყალის საპატიმროში  
უნდა დაემწყვდიათ, მაგრამ ამათ ეს განზრახვა შეუტყვიათ და  
მაშინათვე ყარაბაღისაკენ მოუკურცხლივთ. ირაკლიმ შიკრიკი  
გაგზავნა და წიგნი გაატანა ყარაბაღის და ჯავანშირის ხანთან;  
წიგნში ეწერა, ქალაქიდგან ოთხი კაცი გამოიქცა მაქეთ, და-  
მიჭირეთ და აქ გამომიგზავნეთო.

შიკრიკი თურმე იმ ოთხ კაცს გზაში დაუჭერიათ, გაუ-  
ცარცუავთ და ის წიგნიც წაუკითხავთ. ამათ უთქვამთ:

— ჩვენი დაჭერა უნდა მეფე ირაკლისა! ჩვენ გადუხდით  
იმას სამაგიეროს.

ერეკლეს მტრებმა შიკრიკი წაიყვანეს და წავიდნენ ჯერ  
განჯის ხანთან, რომელსაც ცოველი ამბავი აცნობეს და მერე  
აღა მაჰმად ხანთან მიციდნენ და ქალაქის და მეფე ერეკლეს  
მდგომარეობადაწვრილები თშეატყობინეს და თანვე სოხოვეს წაზო-

ბრძანდით ქალაქის ასაოხრებლადო. აღა-მაჭად ხანშა უარი უთხრა:

— არ შემიძლია! თუმცა დიდ-ძალი ჯარი მახლივს თანა, მაგრამ ჩემი ჯარი მშიერია და უძლური.

ერეკლეს მტრებმა მიუგეს:

— შიში ნუ გაქვს! ჩვენ მოგცემთ შემწეობას და გზას გიჩვენებთ, თუ საიდამ უფრო აღვილათ შეიძლება ქალაქის აოხრება და ირაკლი მეფის ტახტის დამხობა. ჯარისთვის საგძალს დღესვე ვიშოვნით ფიქრი ნუ გაქვსთ, ჩვენ თქვენი ერთგულნი ვართ.

ამ ბოროტმა პირებმა დაიყოლიეს აღა-მაჭად ხანი, და საქართველოსკენ დასძრეს და მოიყვანეს თფილისის ასაოხრებლად. მაჭად ხანს ირაკლის მტრები და ორი სომხის მელიქი გზას უჩვენებდნენ და დარიგებას აძლევდნენ და თფილისშიაც გვერდს ახლდნენ. თფილისის აღების დროს პირველად სომხის ვაჭრებმა გამოუტადეს დამორჩილება სპარსეთის ყეინს, დანარჩენი, თუ როგორ აოხრეს სპარსელებმა თფილისი, ეს ყველას გაგონილი აქვს.

მეფე ერეკლეს მტრებმა აისრულეს წადალი, ქალაქი ხოჯა მაჭადს ააოხრებინეს, მაგრამ არც ამ მტრებს შერჩენიათ თავიანთი ავ-კაცობა; მტრების საქმეები და გაცემა ხალხს სკოდნია და ამიტომ ქართველებს ეს ქვეყნის და მეფის მტრები მოუკლავთ და მათი ტანი ცხენის კუდზე მოუბამთ.

პირველად ეს ამშავი ერთ სომხისებან გავიგე; იმან-კა ისე მითხრა, კითომრ ხსენებული პირები ადა-მაჭად ხანის გაუქულოდნენ და სპარსეთში დასახლებულიერნენ. შემდეგ ში-კა :მ კვარად არავის-გან არ გამიგრანა.

საფლაში ის აზრია დარჩენილი, რომ თევილისი ამ თოხი მტრის მეოხებით აღდესო, თორემ ადა-მაჭად ხანი ქალაქზე წამოსვლას ადარ აპარებდა, რადგან ამას გამარჯვების იმედი არ ჰქონია და კარიც სპარსეთში წასესვლელად ემზადებოდათ.

## მეფე ირაკლის და ყეინის ჭიდაობა.

ერთხელ მეფე ერეკლე ავად იყო და წამლობდა: გარეშამო მრავალი მკურნალი და დოსტაქარი ეხვია, მაგრამ მეფე უკედ არ შეიქნა და თანდათან სწუხდებოდა. მეფის ავალმყოფობას დიდი სიამოვნებით უმზერდა თფილისში მყოფი სპარსეთის ვალლი. ერთს დღეს ვალლი ეახლა მეფეს და მოახსენა:

—დიდებულო მეფეე! თუ ნებას მომცემთ, მე სპარსეთის ყეინს შიკრიქს გაუგზავნი და ვსთხოვ თქვენთვის კარგი მკურნალები და დოსტაქრები გამოგზავნოს.

—გმადლობთ, ჩემო მეგობარო! იმედი მაქვს, მალე ფეხზე წამოვდგე, ასე ჯასინჯე წამლებს აღარ ვხმარობ, უბძანა მეფემ.

ვალლს ცოტა არ იყოს ეწყინა მეფისაგან უარის თქმა, მაგრამ რას იზამდა! მეფის ნახვის შემდეგ, ვალლმა საჩქაროდ დალისტნის ლეკებს შეატყობინა, ერეკლე მეფე ავად არის და თუ გინდათ საქართველო ააოხროთ, ამაზე უკეთესს დროს ვეღარ ნახავთ; ეცადეთ, მალე წამოლით და აიკელით ყველა-ფერიო. აბა, დაეჩქარეთ, დროზე მოღიოო.

ლეკებს ამ ამბავმა სიხარულით გული აუფანცქალა; ისინი გამოეჩქარნენ საქართველოსკენ და ვიზრე საზღვრამდე მოვიდოდნენ, მანამდინ მეფე ერეკლემ კიდევ შეიტყო და აუწყა ხალხს:

—დალისტანის ლეკები საქართველოს ასაოხრებელად მოდიან.

—რას ბრძანებთ, მეფეო?! ჰკითხა ხალხმა?

—ლეკები უვერელისკენ გადმოსულან; ჩემი ავალმყოფობა გაუფიათ და ამ იმედით წამოსულან. საწყლები! მე ეხლავ წამოვდეგები ფეხზე და წინ დასახვედრათ მოვემზადები. თქვენ ფიქრი ნუ გაქვსთ! ბრძანა მეფემ.

შეორე დღეს მეფემ მეომრების შეკრება ბრძანა და ისი-  
ნიც მალე შეიკრიბნენ. მეფე ლოგინილგან წამობრძანდა და  
ჯარით გაემგზავრა თელავისაკენ: აქაც შეკრიბა ჯარი და მერე  
წავიდნენ სადაც მტერს ელოდნენ. მალე მტერიც მოვიდა და  
ბრძოლა შეიქმნა, მაგრამ მტერმა ვერაფერი გააწყო; ქართვე-  
ლებმა გაიმარჯვეს და ლეკებს სულ მუსრი ადრნეს. ამ ომჩე  
შემდეგი ლექსი გამოუთქვამთ:

ერეკლემ, ჩვენმა ბატონმა, შეჰერალდი ჯარია.  
ალაზანს გადო ხიდები, ზედ მიდის ჩვენი ჯარია,  
ალაზანს გალმა გავედით, პატარა ნაბახჩარია,  
შიგ დამალულან მტერები, უსჯულო ლეკის ჯარია.  
მივედით და გავაქციეთ, როგორც ნადირი ტყისაო...

გამარჯვების შემდეგ მეფე ერეკლემ ალაზნის პირს მო-  
სვენება ინება, ჯარმაც შეისვენა. შემდეგ მეჯლიში გამართეს;  
ომში დახოცილ გმირებთათვის სამლოცვები შესწირეს, თელავის  
ღვთისმშობელს შესაწირავი მიართვეს, მრავალ ქვრივებს, ობ-  
ლებს და ღარიბებს მოწყალება უბოძეს, გამარჯვებისთვის  
ღმერთს მაღლობა შესწირეს. მეჯლისში გმირები შექეიფიან-  
დნენ; ყაშა ორბელიანი იქ იყო და ბენიას ეხუმრებოდა. ყაშა  
და ბენია სადილის დროს ერთმანერთს გაეშაირნენ და გმირებს  
ალხენდნენ. ლხინის შემდეგ ბენიამ ყაშა, ორბელიანს უთხრა:

—ყაშა,! ამდენი ხალხის ხოცვას მეფეებმა და ხანებმა  
თვით რომ იჭიდავონ უფრო კარგი არ იქნება?

—რაღა ფიქრი უნდა! მაგრამ მეფენი ამას არ იკადრე-  
ბენ.—მიუგო ყაშამ. მეფე ერეკლემ ამათ საუბარს ყური მოჰ-  
კრა და დაიხსომა კიდეც.

მეჯლისის შემდეგ მეფე თავის ამალით თფილისში წა-  
მოიძანდა.

შეიძლო სამალებთან საომრად. სამალებს ლეკები შველო-  
ლნენ. მოხდა მეტად ფიცხელი ომი, რომელშიაც ერეკლე მე-  
ფემ და მისმა გმირებმა ვაჟუაცურად იომეს, ჩვენმა გმირებმა  
კოხტა ბელადი დაკოდეს, ერეკლე შეება ბელადს და თავი  
მოსჭრა. ქართველებმა სამალნი დასცეს და განდევნეს, მერე  
პირობა ჩამოართვეს, რომ ბორჯომისკენ ფეხი არ გადმოედგათ.

ამ ომში ქართველები უფრო ლეკებს ხოცავდნენ, რად-  
განაც ამის თავი მიზეზი ესენი იყვენ. აქ დიდი გმირობა გა-  
მოიჩინენ ჭობისხეველებმა და ქეიშელებმა, ამ ომზე გამო-  
თქვეს ლექსი.

კოხტა ბელადო, რასა იქმ, რას იქნევ შენსა ხმალსაო?  
ერეკლემ მოგკლა ძალლივით, ველარ იღებდი ხმასაო.  
ძალლო გაიქეც, უშველე სამალებს აწყვრის მთასაო!  
ლეკები აყროლებულნი ყრიან მთასა და ბარსაო.

კოხტა ბელადის მოკვლით მეფემ გაითქვა სახელი, ყველა  
ჰკვირობდა მეფის გმირობას, მეფე ერეკლეს ბრძოლის მეო-  
მარნი თვალს ადევნებდნენ და იმისგან იღებდნენ მაგალითს.  
თვით მეფე ასწავლიდა მეომრებს იარაღის ხმარებას, მთიუ-  
ლეთში რომ მოუხდებოდა წასვლა თუ შ-ფშავ-ხევსურებს სწრ-  
ოვნიდა საომრად, გლეხ კაცებსაც ასწავლიდა იარაღის ხმარე-  
ბას და ამათ თავად-აზნაურობაზე მეტს ყურადღებას აქცევდა  
რადგანაც თავად-აზნაურნი უფრო დახელოვნებული იყვნენ.  
გლეხები სწავლის შემდეგ თავად-აზნაურობას კიდევ სჯობნი-  
ლნენ, რადგანაც მეფე ძლიერ უყვარდათ და სცდილობდნენ  
მისთვით სამსახურის გაწევას, ესენი სამაგალითოდ იბრძოდნენ  
ომში და ამათი გმირობა ყველას აკვირვებდა. ერეკლე მეფის  
ასეთ მფარველობაზე, გლეხებმა შემდეგი ლექსი გამოთქვეს:

ბატონი მეფე გვიცოცხლოს, ერეკლე ჩვენი გმირიო, მტერს წინ წაუვალთ უულადათ, რაზმში იქნება პირიო; უიმისოთ ჩვენი ბიჭობა იქნება გასაჭირიო, მტერი მოგვივა, დაგვხოცავს როგორც უამი და ჭირიო.

ერეკლე მეფემ თავის სიცოცხლეში ბევრი ომები გადიხადა; ამის თვალ წინ ბევრი გმირები მომკვდარა, ბევრი ვაჟკაცი გამოსალმებია თავის საყვარელს საქართველოს, თავის საყვარელს მეფეს—პატარა კახს, თავის ტოლამხანაებს. ომში საქართველოს საუკეთესო ძალა სწყდებოდა, მეფე ყოველ ომის გადახდის შემდეგ, ყველა გმირები შვილებსავით თითოეულად ჩამოსოვლიდა, ყველა გმირების სახელი იცოდა. ომში თუ რომელიმე გმირს მოუკლავდენ; მეფეს ცრემლი წამოუვიდოდა თვალებიდან, გამოუდგებოდა გმირის მკლელს და მინამდინ არ დასტარებოდა, მინამ სამაგიეროს არ გადაუხდიდა; მაშინ თავისთავს არ ზოგავდა. მეფე ხშირად იმარჯვებდა მტერზე, მაგრამ გმირების რიცხვი თანდათან უმცირდებოდა; ეს მეტად აწუხებდა მეფეს.

ოსმალებთან ომის შემდეგ, სპარსეთის ყეინმა ერეკლე მეფეს შიკრიკი განოუზავნა, ამა და ამ დროს საქართველოზე მოვდივარ და მზათ იყავი ომისთვის. ერეკლე მეფემ საჩქაროდ სარდლები და გმირები შეკრიბა და თათბირი ჰქნა თუ სპარსელებს რა პასუხი გავსცეთო, აზრით დასკვნეს, ეგების რა-მენაირ ოსტატობით ამ ომს თავი დავახწიოთო, მეფე ერეკლემ ბრძანა:

— მე ვიცი ყეინის გულის ტკივილი! მე დავაკმაყოფილებ მის ღრძო გულსა და შემდეგ ამისა ჭიდაობაში გამოვიხმობ. გამოვა უარს არ იტყვის. ხომ. იცით, ამპარტავანი თათარია!

ყრილობას მეფის აზრი ძრიელ მოეწონა. ერეკლემ განაგრძო:

— საქმე ახლა იმაშია, თუ ვინ გავგზავნოთ იმისთანა, რომ არ შეგვარცხვინოს და საკადრისი სიტყვა-პასუხი მისცეს ყეინს?

თათბირის შემდეგ ბენია და ყაშყა ამოირჩიეს და გაგზავნეს სპარსეთში ყეინის წინაშე. მეფემ ამათ პირად თხოვნის გარდა წიგნი გაატანა.

ბენია და ყაშყა ჩავიდენ სპარსეთში და წარსდგნენ ყეინის წინაშე. ყეინმა რა ნახა ორი მასხარა, გაიცინა და ჰეითხა;

— გურჯისტანის ერეკლემ თქვენ გამოგვზავნათ ჩემთან?

— დიალ! თუმცა ჩვენ თქვენი ლირი არა ვართ, მაგრამ ჩვენზე პირველი კაცები ვინ არიან საქართველოში, რომ ჩვენ არ გამოვეგზავნე ბრწყინვალე მზისა და მთვარის წინაშე?!

— მაშ კარგი! ახლა მითხარით, რა ამბავი მომიტანეთ?

— ერეკლე მეფის წიგნი მოვართვით . ჯერ ის ინებეთ და წაიკითხეთ; ამბავს მერე მოგახსენებთ. ყეინმა წიგნი წაიკითხა და სთქვა:

— ერი პა ერეკლეს კაი ოხუნჯობა დაუწყია! ამას რას იწერება ჰეითხა მოციქულებს.

— რას იწერება და თქვენის თავის დაკვრას, ძმობას მამაშვილობას, მეგობრობას და მუხლის მოღრეკას.

— აქ მაგაებს ვერა ვხედავთ მაგაებს თქვენ ამბობთ,

— ნება გვიბაძეთ, მზე და მთვარეო, რამოდენიმე სიტყვა მოგახსენოთ,

— ჩქარა სთქვით, თქვენ მასხარა გიაურებო!

ყაშყამ დაიწყო:

— დიდებულო მზე და მთვარევ! ერეკლემ თქვენი ერთგულობის მეოხებით, რუსები შეიძულა. რუსები კარს ადგნენ მეგობრობას სთხოვდენ, სპარსელებთან დახმარებას, ერეკლემ არ ქნა: ჩენს მამას არ უღალატებო; მე მეგობარიც მყავს და მამაცო. რუსები ამის გამო გაწყრენ, გაგულისხდნენ ახლა

შტრობენ კიდევა და თქვენც ამ დროს ერეკლეს მოსისხლეთ  
უჩნდებით, განა შესაძლოა, ამისთანა საქმე თქვენის სიმართ-  
ლის მოყვარულის გულისაგან მოხდეს?

ყეინმა გაიღიმა, თვალები გააჭყიტა და სთქვა საჩქაროდ:

— ჰეშმარიტად, მე სიმართლის მოყვარე ვარ! ვალლის  
სიტყვას დავენდე; ერეკლეს შესახებ ვალლი სხვას მწერს,  
თქვენ-კი სხვას ამბობთ. თუ თქვენ მართალი ხართ, მაშინ მე  
ერეკლესთან სამტრო არა მაქვს რა.

— ვალლი სტყუის: ის თქვენ გლალატობს, ვალლიმ თქვენი  
სჯული ჰგმო: ღვინოს სვამს, ღორის ხორცს სჭამს და ბევრს  
სხვა ავკაცობას ჩადის; ერეკლე არცხვენს და ვალლი ერეკლეს  
ამიტომ ემტერება და აბეზღებს თქვენის უმაღლესობის წინაშე.

— კარგი, კარგი! მე ვუჩვენებ ვალლის ღალატს ისეთი  
მწარე დღე' დავაყენო, რომ მალე იმის ხსენებაც აღარ იყოს.  
შეხედე რაებს ჩადის? თავის ჭორებით ძმებს შუა მტრობას  
აგდებს. გურჯისტანის ჯავრით მედღე და ღამე აღარ მძინავს  
და თურმე სულ უბრალოდ, სულ ტყუილად.

— მეც რამე უნდა მოგასენო, ღიბებულო მზე და მთვა-  
რევ: უთხრა ბენიამ.

— სთქვი, რაც გინდა!

— ჩევნ მეფეს იერუსალიმის შეიხ-ისლამისგან წერილი  
მოუვიდა, შვიდი წლის შემდეგ მთელი დუნია დაიღუპებაო.  
არამც და არამც ხალხი აღარ დახოცოთ, თორემ რაც დედა-  
მიწაზე ჭიანჭველებია სულ გველებათ გაღიქცევიან და ხალხს და-  
გვესევიანო. მე სიზმარში ორი ანგელოზი მომევლინა და მი-  
თხრა, სამი წლის შემდეგ შიმშილი დაიწყებაო. ჩევნს შეიხ-  
ისლამს მოჩვენებია, მეხუთე წელს ზღვები დედამიწას მოსქდე-  
ბიან და ხმელეთი წყლით დაიფარებაო. მთები ღრიალს დაი-  
წყებენ, მერე დაინთქმებიან, კველაფერი გასწორდება, მზე და  
მთვარე გაქრება, პირუტყვიც სულ დაიხოცებაო.

ყეინი შეშინდა... მერქ სთქვა:

— აი ამზები ამისთანა უნდა, როგორც ბენია აშპობს!  
ყაშყაშ, მოახსენა:

— იმიტომ, დიდებულო მზე და მთვარევ ერეკლე მეფემ  
შემოგითვალა, ომს თავი დავანებოთ, უბრალოთ სისხლს  
ნუ დავლვრით! მე და შენ რა გვაქვს საჩხუბარი და საღავოო?  
ჩვენ ისეც ცოდვის შვილები ვართ, ბევრი სისხლი გვიღვრია,  
ბევრი ცოდვები მიგვიძლვის, სხვას მაინც ნულარ ჩავიდენთო,  
მოვილაპარაკოთ, პირობა დავსდვათ და მერქ ბრძოლის ველზედ  
ჩვენ ვიჭიდაოთო და ამით გადაწყდეს საქმეო. თუ ამას არ  
ისურვებთ და ჩვენსკენ საომრათ წამოხვალთ ,ვერას გააწ-  
ყობთ; მე რუსეთს მივემხრობი, იმათი ჯარი ახლოს არის, ჩვენს  
ქვეყანაში სამს დღეში მოვლენ და საქმეს ისე გაგიხდიან, რომ  
მგონი შინ მოამბეც აღარავინ წაგივიდესო. თუ ომი გნებავს,  
მობრძანდი, მეტი რა გაეწყობა! მე-კი შენთან მეგობრობის  
მეტი არაფერი მაქვსო.

ყეინი ერეკლეს წინადადებაზე თანახმა გახდა, ბენია და  
ყაშყა გამოისტუმრა ერეკლესთან და დააბარა, მე ჩემის მოჭი-  
დავე ფალავანებით ამა და ამდროს თქვენსას გიახლებით.

რამოდენიმე ხნის შემდეგ ყეინი თავის ფალავნებით სპა-  
სეთიდამ საქართველოში ჩამოვიდა, ერეკლე მეფე ყეინს სა-  
ქართველოს საზღვარზე მიეგება. ყეინი და მეფე ერთმანეთს  
მიესალმენ, მეგობრულად დაიწყეს საუბარი, ერეკლემ კაი მა-  
სპინძლობა გაუწია. ლხინის შემდეგ ჭიდაობის შესახები სუბარი  
ჩამოვარდა. ყეინმა სთქვა:

— თუ მე დაგძლიო, შენ ბორჩალოზე, განჯაზე და ერე-  
ვანზე ხელი აიღე, თუ შენ დამძლიე, რაც გნებავს ის მთხოვე!

ერეკლე მეფემ მიუგო:

— მე აღგილებს არა გთხოვ. თუ მე დაგძლიო, მაშინ მი-  
ბოძე შენი ქამარ ხანჯალი, ასი აქლები საქონლით დატვირ-

თული და ქართველი ტყვეები, რომელნიც თქვენთან გახლა-  
ვან სპარსეთში.

ძალიან კარგი! მიუგო ყეინმა.

ამათ შეკრეს პირობა, დანიშნეს დღე და საჭიდაო ალაგი.  
— სამეფო ბალში დანიშნულ დღეს საჭიდავო ალაგი ხალებით მორ  
თეს, ყველა დიდებული იქ შეიკრიბნენ, ზურნა დააკვრევინეს და  
ყეინმა და ირაკლიმ დაიწყეს ჭიდაობა. ცოტა ხნის შემდეგ  
ერეკლემ დასცა ყეინი. ზურნა დაჩუმდა... მოჭიდავენი წამო-  
დგნენ და ერთმანეთს მიესალმენ. ყეინმა იმ წამსვე თავისი  
ქამარ ხანჯალი თავისივე ხელით შემოარტყა წელზე ერეკლე  
მეფეს. ამის შემდეგ აჭიდავეს სპარსთა და ქართველთა ფალ-  
ვნები. ჭიდაობის შენმდეგ გაიმართა მეჯლისი.

ყეინმა სპარსეთში შიკრიკი გაგზავნა და შეუთვალა: რაც  
მანდ ქართველი ტყვეებია და აგრეთვე ასი აქლემი სპარსული  
საქონლით დატვირთული საჩქაროდ გამოგზავნეთ. ყეინმა წა-  
ვლის დროს მეფე ერეკლეს შეეხვეწა, შენ რუსებს ნუ შემო-  
უშვებ და ჩვენ ყოველთვის თქვენი დამხმარებელი ვიქნებითო  
ერეკლე მეფემ სიტყვა მისცა, რუსებთან საქმეს არ დავიჭერო  
ყეინმა მადლობა უთხრა და წავიდა სპარსეთში.

ამ ჭიდაობაზე ხალხს შემდეგი ლექსი გამოუთქვამს:

ერეკლემ დასცა ყეინი, მეფეა ქართველისაო,  
პატარა კახი მუდამ ჟამს გამძლები არის მტრისაო,  
საითაც მიღის და მოღის ლურჯაზე კოხტად ზისაო,  
თოფი და ხმალი მხარს აკრავს, მტერსა დაპხოცავს ლვთისაო!

ჰოი, პატარა ბატონო, ერეკლე მეფის ძისაო?  
ყმა შენი ღმერთსა გავედრებ, რომ ძალი მოგცეს მტრისაო.  
ვით სპარსეთიდგან დაიხსენ ტყვენი მრავალნი ხნისაო,  
მის მაგიერი გამჩენმა მოგცეს მუქაფი ლვთისაო.

ბატონი ჩვენი ირაკლი დღეს არის გამარჯვებული;  
მთელი სპარსეთი შეიძრა, არიან შეძრწუნებული;  
ყარსიდამ დარუბანდამდი მტერი ჰყავს დამონებული,  
სხვა არა თქმულა მეფეი მისებრივ თავდადებული.

უძლიერესი მეფეთა, შემკული ყოვლის ფრითაო,  
წმიდა ნინოი შემწედ ჰყავს, დალისტანს ებრძეის ხმლითაო,  
სადაც რომ მტერი აღუნჩდა, დაიმორჩილა თვითაო,  
ასე ყოფილა ყოველ ჟამს, ასეც იქნება ღვთითაო!...

ყეინმა თავის წასვლის შემდეგ ყოველისფერი დაპირება  
აღასრულა, სპარსეთში პყრობილი ქართველები სამშობლოში  
დააბრუნა, და საქონელიც გამოგზავნა. ყეინიდან მოსული სა-  
ქონელი მეფე ირაკლიმ სულ საწყალ ხალხს დაურიგა და სო-  
ფელშიაც გაუგზავნა ლარიბებისთვის. მეფე ირაკლი ძრიელ  
გულ-მოწყალე და ლარიბის შემბრალებელი იყო, ხალხს იგი  
ძრიელ უყვარდა.

ხალხმა ირაკლის უწოდა: „მამა ობრლთა და ლარიბთა“.



997.999

4551

947.922

g. 551

